საქართველოს რესპუბლიკა

გამოცემის მე-100 წელი



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდ-ვერი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბერ-თის გაცვანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

შაბათი, 14 ივლისი. 2018 წ. №142 (8543), | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

მამუკა ბახტაძე:

ჩემი ყოველი დღე იწყება ფიქრით აფხაზეთზე და ყოველი საღამოც ასე მთავრდება!..

— ეს განცხადება საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გუშინ გააკეთა. ბახტაძემ ადა მარშანიას მიერ დასმულ კითხვას უპასუხა, რომელიც ოკუპირებულ რეგიონებს და იქ მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების მდგომარეობას ეხებოდა.

პრემიერის თქმით, მთავრობის მიზანია, შექმნას ისეთი ქვეყანა, რომელიც თითოეული მოქალაქის, განსაკუთრებით კი ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები მოქალაქეების საჭიროებებზე იქნება ორიენტირებული.

კულტურა, განათლება და სპორტი – ერთად!..

ჩვენ არ გვჭირდება ცალკე მდგომი სიმბოლოები, გვჭირდება, რომ კულტურამ, განათლებამ და სპორტმა ერთად უზრუნველყოს მაღალი ფასეულობების მქონე კონკურენტუნარიანი მოქალაქეების აღზრდა, ჯანსაღი საზოგადოების ჩამოყალიბება, — ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ განაცხადა.

— ვაცნობიერებთ, რომ ამ მიმართულებით გვაქვს სერიოზული ჩავარდნა და ის ტრაგიკული ფაქტები, რაც ბოლო პერიოდში მოხდა, სამწუხაროდ, ამის მაგალითია. აქედან გამომდინარე, მინდა ავხსნა, რატომ ვფიქრობთ, რომ განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მიმართულების გაერთიანება სწორია. ჩვენთვის მთავარი იდეა იყო არა სამინისტროების რაოდენობის შემცირება, არამედ ის, რომ სტრუქტურას ეფუნქციონირა და მიგვეღო უკეთესი შედეგი. დარწმუნებული ვარ, ამ ძალიან მნიშვნელოვანი მიმართულებების ერთი ქოლგის ქვეშ გაერთიანებით ჩვენ სწორედ ამას მივიღებთ. ჩვენ არ გვჭირდება ცალკე მდგომი სიმბოლოები, ჩვენ გვჭირდება, რომ კულტურამ, განათლებამ და სპორტმა ერთად უზრუნველყოს მაღალი ფასეულობების მქონე კონკურენტუნარიანი მოქალაქეების აღზრდა, ჯანსაღი საზოგადოების ჩამოყალიბება, — განაცხადა ბახტაძემ, რომელმაც აქვე აღნიშნა, რომ ამ უწყებების გაერთიანება სწორი ნაბიჯია.

არის სურვილი, რომ საპრეზიდენტო კამპანიაში ჩაერთოს ბიძინა ივანიშვილი

„ქართული ოცნების“ გუნდში მიმდინარეობს კონსულტაციები საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით, საზოგადოებაში ასევე ძალიან აქტიურად განიხილებოდა და არის სურვილი, საპრეზიდენტო კამპანიაში ჩაერთოს ბიძინა ივანიშვილი, — ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა არჩილ თალაკვაძემ განაცხადა.

მისი თქმით, გუნდში ასევე სხვა ძლიერი კანდიდატები არიან, მათ შორის სერგეენკო, სუბარი და ცქიტიშვილი.

— უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი „ქართული ოცნების“ გადაწყვეტილება საპრეზიდენტო კანდიდატთან დაკავშირებით, მას შემდეგ, რაც კონსულტაციები დასრულდება, — განაცხადა არჩილ თალაკვაძემ.

ტრამპმა პუტინთან მოლაპარაკებების თემები გაამხილა



აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ ჰელსინკის 16 ივლისის სამიტის ფარგლებში ის რუსეთის პრეზიდენტთან ვლადიმერ პუტინთან განიხილავს უკრაინის, სირიის და ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის საკითხს.

მან აღნიშნა, რომ პუტინთან შეხვედრა გაიმართება „ნატოს შესანიშნავი სამიტის“ შემდეგ.

„ჩვენ ვილაპარაკებთ პრეზიდენტ პუტინთან რიგ საკითხებზე: უკრაინა, სირია და ახლო აღმოსავლეთის სხვა ნაწილებზე, ასევე ვისაუბრებთ ბირთვულ გაუვრცელებლობაზე“, — განაცხადა მან დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრთან ტერეზა მეისთან გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე.

ბოკერია-ბარამიძის პაქტი

4

პენსია თუ ჩიტების საკენკი?..

თვალი მოვავლოთ მსოფლიოს

7

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე

თამაზ წივწივაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია დიდი გულისტკივილით იუწყება, რომ 76 წლისა გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მწერალი, რედაქტორ-გამომცემელი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, „ლიტერატურული საქართველოს“ მთავარი რედაქტორი

თამაზ წივწივაძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს, დიდ სანათესავოს და სამეგობროს.

ირაკლი ჩხეიძის სამი ოქრო

გუშინ ტაშკენტში 20-წლამდელ ძალოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატზე 105 კილოგრამ წონით კატეგორიაში სამი ოქროს მედალი მოიპოვა ქართველმა ათლეტმა **ირაკლი ჩხეიძემ**. მან ექვსივე ცდა გამოიყენა: 171 კილოგრამი აიტაცა, 211 კილო აკრა და ორჭიდში 382 კილოს მოუყარა თავი... ვერცხლის მედალოსან აკბარ ჯურაევს (უზბეკეთი) 13 კილოგრამით აჯობა.

გვიმრავლოს!

მზად ვარ, რეფორმებისა და ინიციატივების დანერგვაზე ავილო პოლიტიკური პასუხისმგებლობა

მზად ვარ, რომ ამ რეფორმების და ინიციატივების დანერგვაზე ავიღო პოლიტიკური პასუხისმგებლობა, — ეს განცხადება საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გუშინ გააკეთა. მამუკა ბახტაძემ მცირე მთავრობის პროგრამის უპირატესობებზე ფრაქცია „საქართველოს პატრიოტების“ სხდომაზე ისაუბრა.

პრემიერის თქმით, მთავრობის ამოცანაა, ახალი რეფორმებით შეიქმნას ისეთი ეკონომიკური მოდელი, რომელიც მთავარ ეკონომიკურ გამოწვევებთან გამკლავების შესაძლებლობას იძლევა.

„პროგრამა, რომელიც წარმოდგენილია და ის ინიციატივები, რომლებიც მასში დაფიქსირებულია, მათი უმეტესობა არ მოითხოვს გრძელვადიანი დანერგვის რეჟიმს. ბუნებრივია, ეს არ ეხება განათლების სექტორის რეფორმას, ვინაიდან ეს არის განსაკუთრებული შემთხვევა. განათლება გახლავთ ის სფერო, სადაც საჭიროა გრძელვადიანი ხედვა. დანარჩენი რეფორმების ნაწილი უნდა დაინერგოს მიმდინარე წელს, ნაწილი — 2019 წელს. ჩვენი ამოცანაა, ახალი რეფორმებით შევქმნათ ისეთი ეკონომიკური მოდელი, რომელიც საშუალებას მოგვცემს, გავუმკლავდეთ მთავარ ეკონომიკურ გამოწვევას საქართველოში. ეს არის სიღარიბის შემცირება, ჭარბვალიანობა და, რაც მთავარია, სამართლიანი თამაშის წესების დამკვიდრება ეროვნულ ეკონომიკაში“, — განაცხადა ბახტაძემ.

კანონმდებლები გუშინ მინისტრთა კაბინეტის ახალ შემადგენლობას უსმენდნენ. პარლამენტში გაერთიანებული კომიტეტების სხდომები უკვე შედგა.

* * *

საპრეზიდენტო კანდიდატს პარტია „ქართული ოცნება“ ზაფხულის ბოლოს დაასახელებს. ამის შესახებ საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრობის კანდიდატმა მაია ცქიტიშვილმა განაცხადა.

„საპრეზიდენტო კანდიდატთან დაკავშირებით არაერთხელ განვაცხადეთ, რომ საპრეზიდენტო კანდიდატს ზაფხულის ბოლოს დავასახელებთ და ეს ცნობილი შემდეგ გახდება“, — განაცხადა ცქიტიშვილმა.

„საქართველოს ნატოში გაწევრებას შესაბამისი შედეგები მოჰყვება“

ბრიუსელში **გამართულ სამიტს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ეხმაურება.**

დიპლომატიური უწყების ოფიციალური წარმომადგენელი ზახაროვა ამბობს, რომ საქართველოს ნატოში გაწევრებას შესაბამისი შედეგები მოჰყვება.

ჟურნალისტის კითხვაზე, იქნება თუ არა საქართველოს ალიანსში გაწევრების დაპირება რუსეთის მიერ გავლებულ ე.წ. წითელ ხაზთან მიახლოება, მარია ზახაროვამ უპასუხა, რომ თუკი ცვლილებები ერთ მხარეს მოხდება, აუცილებლად დადგება შედეგები მეორე მხარესაც.

მისი თქმით, ალიანსი ქმნის კონფრონტაციულ ატმოსფეროს გამოგონილი საბაბით, რომელიც რუსეთის პოლიტიკური და სამხედრო შეკავების კურსს უკავშირდება.

„არაწევრი ქვეყნების ალიანსში გაწევრება გავლენას არ მოახდენს ევროპის უსაფრთხოებაზე და, რა თქმა უნდა, ამას შედეგებიც მოჰყვება. ეს ეხება არა მხოლოდ საქართველოს, ეს ზოგადად ჩვენი პრინციპული პოზიციაა. ეს არის ბუნებრივი პროცესი და ამაზე ჩვენ ყოველთვის ვსაუბრობდით.

რაც შეეხება ნატოს სამიტს, ალიანსი ქმნის კონფრონტაციულ ატმოსფეროს და ამის განუყოფელი ნაწილი არის, გამოგონილი საბაბით, რუსეთის პოლიტიკური და სამხედრო შეკავების კურსი. იგივე მიზეზით აიხსნება ნატოს მექანიკური გაფართოებისკენ მისწრაფება, რაც ევროპაში დაძაბულობას ზრდის,“ — აცხადებს ზახაროვა.

იქნება თუ არა საპრეზიდენტო კანდიდატი სალომე ზურაბიშვილი, ეს მალე გაირკვევა

სალომე ზურაბიშვილი **საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით განცხადებას, სავარაუდოდ, თვის ბოლომდე გააკეთებს. ამის შესახებ განცხადება ზურაბიშვილმა.**

გავრცელებული ინფორმაციით, მმართველი პარტია „ქართული ოცნება“ საპრეზიდენტო არჩევნებზე მხარს სალომე ზურაბიშვილის კანდიდატურას დაუჭერს.

„არ გეტყვით, თქვენ რაც გინდათ. არანაირი მოლაპარაკებები არ მიმდინარეობს და როცა განცხადება გასაკეთებელი მექნება, ამ განცხადებას გავაკეთებ.

როგორც ჩანს, თქვენ ჩემზე მეტი იცით. რისი თქმაც მინდა, იმას იმ დღეს გეტყვით, როცა მე გადავწყვეტ. ყველას დაგიბარებთ და გეტყვით. ბრიფინგების გამოცდილება მაქვს და ბრიფინგს ჩავატარებ. განცხადებას, ალბათ, ამ თვის ბოლომდე გავაკეთებ. მეტს არაფერს გეტყვით. დათანხმებაზე საუბარი არ არის. მე ჩემს გადაწყვეტილებას ვიღებ. გითხარით დღეს სათქმელი, რაც მაქვს. ყველა კითხვაზე პასუხს მერე გაგცემთ. თუ-ებზე არასოდეს ვლაპარაკობ“, — განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

გაკვირვებული დავრჩი ოპოზიციის მხრიდან გენგეგმაზე გაკეთებული განცხადებებით!

გაკვირვებული **დავრჩი ოპოზიციის მხრიდან გენგეგმაზე გაკეთებული განცხადებებით, რადგან, როდესაც „სითი ინსტიტუტმა“ წარმოადგინა პირველადი დოკუმენტი, რომელსაც სერიოზული ხარვეზები ჰქონდა, ოპოზიცია დაჟინებით ითხოვდა, რომ აუცილებლად მიგვეღო ეს დოკუმენტი. სამი თვის თავზე, ჩვენ მივიღეთ გამართული დოკუმენტი „სითი ინსტიტუტთან“ მუშაობის შედეგად და დღეს გვეუბნებიან, რომ ეს დოკუმენტი არის ხარვეზიანი,** — აღნიშნული განცხადება დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ მთავრობის სხდომაზე გააკეთა.

მისი თქმით, საუბარია არა ყველა ოპოზიციურ ძალაზე, არამედ კონკრეტულ პოლიტიკურ პარტიაზე.

„დარწმუნებული ვარ, ჩვენ დღეს რომ გამოვიდეთ და ვთქვათ, რომ არ ვიღებთ ამ გენგეგმას, ისინი პირიქით, შემოგვიბრუნდებიან და გვეტყვიან: აი, თქვენ აზარალებთ დედაქალაქს, მის განვითარებას და აუცილებლად უნდა მიიღოთ. უბრალოდ, გასაკვირია. ყველა რეფორმის განხორციელების დროს მათ აქვთ იგივე პოზიცია. ეს არ არის საინტერესო პირადად ჩემთვის და დარწმუნებული ვარ, საზოგადოების დიდი ნაწილისთვის. ამაზე იმიტომ ვსაუბრობ, რომ საზოგადოებას დავანახო მათი რეალური სახე. რა თქმა უნდა, ყველა ოპოზიციურ ძალაზე არ არის საუბარი. კონკრეტულად იმ გაკოტრებულ პოლიტიკურ პარტიაზე ვლაპარაკობ, ვინც ამ მიმართულებით არაადეკვატურ განცხადებებს აკეთებდა. იგივე დამოკიდებულება იყო, როდესაც თბილისის მერიამ „სითი პარკს“ ხელშეკრულება შეუწყვიტა. მე სხვა გადაწყვეტილებას ნამდვილად ვერ მივიღებდი“, — განაცხადა კახა კალაძემ.

რაც შეეხება გენგეგმას, დედაქალაქის მერის განცხადებით, ის პრაქტიკულად აღსრულებად დოკუმენტად იქცა.

საქართველოში მაღალი ხარისხის საწვავი უნდა შემოვიდეს!

თბილისის **მერი კახა კალაძე პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძის მიერ გამოთქმულ ინიციატივას ეხმაურება და აცხადებს, რომ დედაქალაქში არსებული ეკოლოგიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, საწვავის ხარისხის ზრდა და ამ მიმართულებით გარკვეული ცვლილებების განხორციელება აუცილებელია.**

მუნიციპალიტეტის მთავრობის დღევანდელ სხდომაზე კახა კალაძემ აღნიშნა, რომ დედაქალაქში არსებული ვითარება აუცილებლად უნდა შეიცვალოს.

„მინდა, გამოვეხმაურო ამ მიმართულებით პრემიერ-მინისტრის მამუკა ბახტაძის მიერ გაკეთებულ განცხადებას, იმასთან დაკავშირებით, რომ აუცილებელია, საწვავის მიმართულებით გარკვეული ცვლილებები მოხდეს ანუ ხარისხი ამაღლდეს, რაც, რა თქმა უნდა, მისასალმებელია. მგონია, რომ, რაც შეიძლება მალეა განსახორციელებელი ეს ცვლილება, რომ საქართველოში მაღალი ხარისხის საწვავი შემოვიდეს. განსაკუთრებით, საუბარია დიზელის მიმართულებაზე. ასევე, უნდა შეიზღუდოს დაბალი სტანდარტების ავტომობილების შემოსვლა ქვეყანაში, რაც ასევე სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს“, — განაცხადა კახა კალაძემ.

შინაგან საქმეთა სამინისტროში მილების ახალი წესი ინერგება

შინაგან საქმეთა მინისტრობის კანდიდატმა გიორგი გახარიამ გაერთიანებული კომიტეტების სხდომაზე, მთავრობისთვის ნდობის გამოცხადების საკითხის განხილვისას, შინაგან საქმეთა სამინისტროში მიმდინარე რეფორმებზე ისაუბრა და ხაზი გაუსვა უწყებაში სამსახურში მიღების წესის გარდაქმნას.

„კიდევ ერთი კომპონენტი შინაგან საქმეთა სამინისტროში მიმდინარე რეფორმების და ცვლილებების გახლავთ სამსახურში მიღების წესის ცვლილება. ეს ბრძანება უკვე ხელმოწერილია. ასევე მინდა, ხაზგასმით აღვნიშნო შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის ფუნქცია. მოგეხსენებათ, რომ ამ მიმართულებით ჩვენ გადავდგით რამდენიმე ნაბიჯი — პირველი, რაც გავაკეთეთ, გავაკეთეთ ის, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში აღარ იქნება უმაღლესი განათლების კომპონენტი და ის იქნება სრულად პროფესიული განათლების დაწესებულება. გარდა ამისა, როგორც მოგახსენეთ, ჩვენ უკვე გადავდგით ნაბიჯი და ვთქვით, რომ სისტემაში მოხვედრის ერთადერთი გზა იქნება ანაზღაურებადი სტაჟირება და შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია. ეს ნიშნავს იმას, რომ საბაზისო კურსების გავლის დროს საქართველოს თითოეული მოქალაქე, რომელიც იქნება შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავლილი ტესტირების შედეგად ამორჩეული, — მისი სტაჟირების და სწავლის პერიოდი, რომელიც იქნება აკადემიაში — ანაზღაურებადი იქნება. ის პირველი 3 თვის საბაზისო კურსების გავლის პერიოდში მიიღებს მისი საშტატო სარგოს 50%-ს. ხოლო 9-თვიანი საგამოცდო პერიოდის განმავლობაში, მიიღებს სრულ სარგოს და ეს იქნება ის ინსტიტუციონალური პროცესი, რისი საშუალებითაც თითოეული ადამიანი შეძლებს, მოხვდეს შინაგან საქმეთა სამინისტროში. ამას ვაკეთებთ მხოლოდ და მხოლოდ იმ მიზნით, რომ ძალიან კარგად გვესმის, ვერანაირი სოციალური სტატუსი, ხელფასის ზრდა, საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება, სოციალური დაცვის გაძლიერება, ვერ იქნება გარანტი იმის, რომ ადამიანური რესურსი შინაგან საქმეთა სამინისტროში ხარისხობრივად გაუმჯობესდეს. ამას სჭირდება ინსტიტუციონალური განათლების და პროფესიული ზრდის მექანიზმები, რომელსაც ახლა ჩვენ ვქმნით. რა თქმა უნდა, ჩვენ გვესმის და ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ საუკეთესო კადრები, საუკეთესო ახალგაზრდები მოდიოდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროში და მათ იცოდნენ, რომ მათი სოციალური და პროფესიული ზრდის გარანტიები არის სახელმწიფოს და ინსტიტუტის მიერ. ასევე, მინდა, მოგახსენოთ, რომ ჩვენ მოვახერხეთ და 13 200 პოლიციელს გავუზარდეთ ხელფასი, თუმცა, ეს არის მხოლოდ და მხოლოდ პირველი ნაბიჯი. ასევე მინდა ვთქვა, რომ უახლოეს პერიოდში გაგრძელდება ხელფასების ზრდა სისტემაში“, — განაცხადა გახარიამ.

ტრამპი, ნატოს ბიუჯეტი და საქართველო

...გარკვეულ ეტაპზე, „MAP“-ის გავლის შემდეგ, ნატოში მიგიღებთო!..

მანამდე ან ვირი მოკვდება, ან ვირის პატრონი!

აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი აცხადებს, რომ პერსონალური გამარჯვება მოიპოვა ხუთშაბათს ნატოს სამიტზე მას შემდეგ, რაც ევროპელ მოკავშირეებს უთხრა, რომ მათ ან ბიუჯეტის ხარჯები უნდა გაზარდონ, ან ვაშინგტონის მხარდაჭერას დაკარგავენ. ამ ულტიმატუმის ფონზე ლიდერებს აშშ-ის პრეზიდენტთან საგანგებო შეხვედრის გამართვა მოუწიათ.

შეხვედრის შემდეგ ტრამპმა განაცხადა, რომ მისი ერთგულება ურყევია ნატოს მიმართ – ალიანსის, რომელიც აშშ-ის სამხედრო ძალაზე დაფუძნდა და მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოსკოვს წინააღმდეგობას უწევს.

შეხვედრაზე მყოფი პირების თქმით, მანამდე ტრამპი გამოვიდა გაფრთხილებით, რომ ის „მარტო იმოქმედებდა“, თუკი მოკავშირეები – განსაკუთრებით გერმანია – მომავალი წლის თავდაცვის ბიუჯეტს მნიშვნელოვნად არ გაზრდიდნენ.

„იმათ ვუთხარი, რომ ვითარებით ძალიან უკმაყოფილო ვარ“, – თქვა ტრამპმა, თუმცა დასძინა, რომ მოლაპარაკება კარგი განწყობით დასრულდა: „ბოლოს ყველაფერი მოგვარდა. ცოტა ხნით სირთულეები იყო“.

გერმანიის კანცლერი **ანგელა მერკელი,** რომელმაც სამიტს უწოდა „ძალიან ინტენსიური“, და სხვა ლიდერები – მათ შორის საფრანგეთის პრეზიდენტი **ემანუელ მაკრონი** – ოდნავ განსხვავებულ ინფორმაციას ავრცელებენ იმაზე, თუ რა მასშტაბით დაჰპირდნენ ტრამპს მისთვის სასურველი სისწრაფით თავიანთი თავდაცვითი ბიუჯეტების გაზრდას.

„როიტერსი“ ავრცელებს ანონიმურად დატოვებული ერთ-ერთი პირის სიტყვებს: **„(ტრამპმა) თქვა, მათ თავიანთი ხარჯები 2019 წლის იანვრამდე უნდა გაზარდონ, სხვა შემთხვევაში აშშ მარტო იმოქმედებსო“**.

მაკრონმა და სხვებმა თქვეს, რომ ტრამპის სიტყვები არ აღუქვამთ იმ ალიანსიდან გასვლის მუქარად, რომელიც ვაშინგტონმა 1949 წელს დააარსა საბჭოთა კავშირის გაფართოების შესაკავებლად. კითხვას, შეძლებდა თუ არა ის ნატოდან გასვლას კონგრესის თანხმობის გარეშე, თავად ტრამპმა უპასუხა, რომ, სავარაუდოდ, შეძლებდა, მაგრამ ეს „არ იქნება საჭირო“.

თუმცა, სხვების შეფასებით, კონგრესის თანხმობა აუცილებლად იქნება საჭირო, რაც ნაკლებად სავარაუდოა, რომ მოხდეს.

ტრამპი აცხადებს, რომ პერსონალურ გამარჯვებას მიაღწია საკუთარ სტრატეგიაზე – უკმაყოფილებაზე, რომ ნატოს ბიუჯეტი უსამართლო იყო აშშ-ის გადასახადების გადამხდელთა მიმართ. ტრამპი ამბობს, რომ სამიტზე მისი მოთხოვნების გარშემო გულთბილი კონსენსუსი შედგა.

თუმცა „როიტერსის“ თანახმად, რამდენიმე დიპლომატი და ოფიციალური პირი აცხადებს, რომ ტრამპის არადიპლომატიურმა ჩარევამ – მათ შორის სხვა ლიდერებზე ხელით მითითებამ და მერკელისთვის სახელით მიმართვამ – ბევრი გააღიზიანა.

ნატოს სამიტზე გამართულ პრესკონფერენციაზე ტრამპმა სხვა საკითხებთან ერთად ილაპარაკა ნატო-საქართველოს ურთიერთობებზე. **„ისინი აქ იყვნენ და ძალიან დადებითი შთაბეჭდილება დატოვეს. ჩვენ მოვისმინეთ მათი გასაჭირი. საქართველოსთან დაკავშირებით მძიმე ვითარებაა, მაგრამ მათ შეხვედრაზე ძალიან დადებითი შთაბეჭდილება დატოვეს“,** – განაცხადა აშშ-ის პრეზიდენტმა.

ჟურნალისტის შეკითხვაზე, რას ფიქრობს ის ნატოში საქართველოს მომავალ წევრობაზე, დონალდ ტრამპმა თქვა: „გარკვეულ ეტაპზე მათ ექნებათ შანსი, მაგრამ არა ახლა“.

„ჩვენ გავაგრძელებთ მუშაობას იმისათვის, რომ საქართველო ნატოში გასაწევრებლად მოვამზადოთ“ – ამ შინაარსის განცხადება გააკეთა ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა 12 ივლისს ნატოს ბრიუსელის სამიტის შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე.

„ჩვენ შევხვდით საქართველოსა და უკრაინის პრეზიდენტებს და განვიხილეთ მათი ქვეყნების სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მისამართით რუსეთისგან მომავალი საერთო საფრთხეები. დღეს შევთანხმდით ერთობლივი მუშაობის გაგრძელებაზე იმისათვის, რომ საქართველო მოვამზადოთ ნატოში გასაწევრებლად“, – განაცხადა ნატოს გენერალურმა მდივანმა.

მანამდე გამოქვეყნდა საქართველოსთან დაკავშირებული დეკლარაციის ტექსტი, რომელიც, ბრიუსელის სამიტის ფარგლებში, ნატო-საქართველოს კომისიის სხდომაზე დამტკიცდა. დეკლარაციაში ნათქვამია, რომ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გასაწევრებლად საქართველოს აუცილებლად დასჭირდება გაწევრების სამოქმედო გეგმის (MAP) მიღება. ნატო-საქართველოს კომისიის სხდომა პირველად გაიმართა ალიანსის სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების მონაწილეობით.

სალომე ასათიანი

ქართული პოლიტიკის ქვედინებები – პრეზიდენტი ბრიუსელიდან „არკვევს“, რატომ წავიდა ძველი პრემიერი

პარლამენტი ახალ მთავრობას ამტკიცებს, თუმცა როგორც ჩანს, ძველი მთავრობის თემა იმაზე მეტ ინტერესს იწვევს, ვიდრე სხვა, მსგავს შემთხვევებში მომხდარა – საქართველოს პრეზიდენტი ბრიუსელიდან სვამს კითხვებს იმის შესახებ, თუ რატომ დაითხოვეს ძველი მთავრობა. გიორგი მარგველაშვილის განცხადებით, ყველასთვის გაუგებარია, რატომ გადადგა პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი.

„თუ ვინმე განმარტავს, რატომ არავინ აუხსნა საქართველოს მოქალაქეებს, რატომ წავიდა თანამდებობიდან კვირიკაშვილი... არა მარტო ახსნა არ ვიცით, არამედ ისიც არ ვიცით, რატომ არ გვიხსნიან. რატომ არ ვართ ღირსი, გავიგოთ, რატომ წავიდა პოსტიდან პრემიერ-მინისტრი?!“, – აღნიშნა მარგველაშვილმა.

ეს კითხვები ქართველ საზოგადოებაში მართალია, აქტუალურია, მაგრამ საინტერესოა, რატომ საუბრობს პრეზიდენტი საქართველოს შიდა პოლიტიკურ საქმეებზე ბრიუსელიდან.

მარგველაშვილის განმარტებით, ეს შეკითხვა არა მარტო ქართველ მოსახლეობას, არამედ უცხოელ პარტნიორებსაც აქვთ.

„გვყავდა პრემიერ-მინისტრი, რომელიც თითქოს ეკონომიკური პრობლემების გამო წავიდა, არადა თითქოს მაისში გვქონია იმხელა ეკონომიკური ზრდა, რომელიც აქამდე საქართველოს არ ჰქონია. რატომ გაქრა პოლიტიკური ველიდან კვირიკაშვილი?! შემდეგ გაქრა პოლიტსაბჭოდან და ფაქტობრივად, სახელმძღვანელოებიდან მისი ფოტოს ამოჭრა რატომ ხდება?! რა დააშავა ამ ადამიანმა?! ეს კითხვა პარტნიორებს კი არა, აქვთ ნებისმიერ ქართულ ოჯახში, სადაც შედიხართ და აღარ გეკითხებიან – გვეშველება რამე?! გეკითხებიან – კვირიკაშვილი რატომ წავიდა და მე პასუხი არ მაქვს. მე ეს კითხვა არაერთხელ დავსვი“, – აღნიშნა პრეზიდენტმა.

როგორც „ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა რომან გოცირიძემ განაცხადა, არ არის გამორიცხული, რომ მარგველაშვილმა კვირიკაშვილის თემის წამოწევით რაღაც პოლიტიკური მიზნების გამოყენება დაიწყო ბრიუსელიდან.

მისი თქმით, ქართული პოლიტიკიდან კვირიკაშვილის გაქრობის გამო დასავლელი პარტნიორების მხრიდან კითხვები არსებობს. რომან გოცირიძის შეფასებით, კითხვებს ამძაფრებს ის გარემოებაც, რომ საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი, რომელიც ბიძინა ივანიშვილის მაღალი ნდობით სარგებლობდა, მონაწილეობას იღებდა სხვადასხვა მნიშვნელოვან საერთაშორისო პოლიტიკურ პროცესში და კარგი ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ახალ ადმინისტრაციასთან.

„როდესაც პრეზიდენტი მარგველაშვილი ბრიუსელიდან ხმამაღლა საუბრობს, რომ კვირიკაშვილი ასე უცებ გაქრა ქართული პოლიტიკური ველიდან და ფაქტობრივად, პოლიტიკური დევნა მიმდინარეობს მასზე და მის პოლიტიკურ გუნდზე, ეს ნიშნავს, რომ კითხვები დასვეს დასავლელმა პარტნიორებმა. არც ის არის გამორიცხული, რომ მარგველაშვილმა კვირიკაშვილის თემის წამოწევით რაღაც პოლიტიკური მიზნების გამოყენება დაიწყო ბრიუსელიდან. ეს მე არ ვიცი. თუმცა, ფაქტია, ადამიანი, რომელსაც მესიად ხატავდა ბიძინა ივანიშვილი, დღეს მისი დაუძინებელი მტერი გახდა“, – განაცხადა რომან გოცირიძემ.

ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძე კი აცხადებს, რომ **პრეზიდენტს შეუძლია, კიდევ ერთხელ ნახოს კვირიკაშვილის ბოლო ბრიფინგი და ის განცხადებები, რაც გიორგი კვირიკაშვილმა გააკეთა... ამ კითხვებზე არის პასუხები თავად ბატონი კვირიკაშვილის ბრიფინგიდან, სადაც მან ამომწურავად ისაუბრა“,** – აღნიშნა არჩილ თალაკვაძემ.

პრეზიდენტის განცხადებების პარალელურად სოციალურ ქსელში გავრცელდა ინფორმაცია, რომ პროკურატურამ „თიბისი ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მამუკა ხაზარაძის წინააღმდეგ გამოძიება დაიწყო.

სავარაუდოდ, გამოკითხვაზე დაბარებული იყო რამდენიმე პირი, რომელთა შორის იყვნენ ისეთი ბიზნესმენები, ვისაც წინა ხელისუფლების დროს გარკვეული პრობლემები შეექმნათ სამართალდამცველ უწყებებთან. კონკრეტულად კი, ჩართული იყო თუ არა მამუკა ხაზარაძე საპროცესო გარიგებების გზით დიდი ოდენობით თანხების გათეთრებაში სააკაშვილის ხელისუფლების დროს. საუბარია ბიზნესმენთა ერთ ნაწილზე, რომლებსაც სამართლებრივი პრობლემები ჰქონდათ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში, ისინი საპროცესო თანხას „თიბისი ბანკში“ ქონების დაგირავებით იხდიდნენ.

საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის გადადგომის შემდეგ, ბევრი ითქვა და დაიწერა მისი და მამუკა ხაზარაძის შესაძლო ალიანსზე, რაც ერთ-ერთი ვერსიით გახდა კიდეც ბიძინა ივანიშვილსა და გიორგი კვირიკაშვილს შორის დაპირისპირების მიზეზი.

ასევე გავრცელდა ინფორმაცია, რომ მთავარ პროკურატურას მიღებული აქვს დავალება, „თიბისი ბანკის“ ბოლო 15 წლის საქმიანობა შეისწავლოს. არსებული ინფორმაციით, საგამოძიებო უწყებაში უკვე დაიბარეს კონკრეტული პირები, ვისაც წლების განმავლობაში „თიბისი ბანკიდან“ მსხვილი კრედიტები აქვთ აღებული. მათ შორის ბიზნესმენი ანზორ ქოქოლაძე.

კულუარებში იმაზეც საუბრობენ, რომ დაპირისპირება ანაკლიის პორტის მშენებლობის კონტრაქტს უკავშირდება და ისიც ცნობილია, რომ კვირიკაშვილსა და ივანიშვილს შორის დაპირისპირების ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ანაკლიის პორტის მშენებლობის კონტრაქტი გახდა.

საინტერესოა ის ფაქტიც, რატომ გაქრა პოლიტიკური არენიდან ყოფილ პრემიერთან ერთად მისი ეკონომიკური გუნდიც – მართლა ასრულებდნენ ფინანსური ჯგუფების დაკვეთებს, თუ ეს იყო მხოლოდ პიარი, ცვლილებების გასამართლებლად.

„თიბისი ბანკში“ მედიით გავრცელებულ ინფორმაციაზე, რომლის თანახმადაც, მამუკა ხაზარაძის წინააღმდეგ გენერალურ პროკურატურაში სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებას გეგმავენ, არაფერი სმენიათ...

მარიამ თოდაძე

პოლიტიკური აქტივობა დავასრულე!

ეს განცხადება ყოფილმა პრემიერმა გიორგი კვირიკაშვილმა გააკეთა. გიორგი კვირიკაშვილი სვეტიცხოველში იმყოფებოდა. მან კითხვაზე, გააგრძელებს თუ არა საჯარო აქტივობას, განაცხადა: „რა პოლიტიკაზეა საუბარი, დღესასწაულზე ვარ მოსული. სხვა კომენტარს არ გავაკეთებ. საჯარო აქტივობა დავასრულე, არაერთხელ ვთქვი“, – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

პრემიერობის თანამდებობის და პოლიტსაბჭოს დატოვების შემდეგ გიორგი კვირიკაშვილი მედიასთან პირველად გამოჩნდა.

ᲑᲝᲙᲔᲠᲘᲐ-ᲑᲐᲠᲐᲛᲘᲫᲘᲡ ᲞᲐᲥᲢᲘ

ᲠᲘᲑᲔᲜᲢᲠᲝᲠᲞ-ᲛᲝᲚᲝᲢᲝᲕᲘᲡ ᲞᲐᲥᲢᲘ – 1939 წლის 23 აგვისტოს მოსკოვში მესამე რაიხსა და სსრკ-ს შორის დადებული თავდაუსხმელობის პაქტი, რომელსაც გერმანიის მხრიდან ხელი მოაწერა საგარეო საქმეთა მინისტრმა იოახიმ ფონ რიბენტროპმა, ხოლო სსრკ-ის მხრიდან საბჭოთა საგარეო საქმეთა მინისტრმა ვიაჩესლავ მოლოტოვმა. ამ პაქტში ასევე საუბარი იყო ცენტრალური ევროპის დაყოფაზე. ეს პაქტი დაირღვა 1941 წელს გერმანიის მიერ, როდესაც იგი თავს დაესხა საბჭოთა კავშირს.

ხელშეკრულების თანახმად, საბჭოთა კავშირსა და ნაცისტურ გერმანიას თავი უნდა აერიდებინათ ერთმანეთზე თავდასხმისაგან, მათ ასევე თავი უნდა შეეკავებინათ ერთმანეთის წინააღმდეგ საომარ მოქმედებაში ჩართვისგან იმ შემთხვევაშიც, თუ რომელიმე ეს სახელმწიფო გახდებოდა თავდასხმის ობიექტი მესამე სახელმწიფოს მიერ. პაქტის მონაწილენი ასევე უარს ამბობდნენ იმ კოალიციაში ჩართვაზე, რომლებიც თუნდაც არაპირდაპირად ამ რომელიმე სახელმწიფოს წინააღმდეგ იყო მიმართული.

გასულ კვირას ერთი შეხედვით რამდენიმე საინტერესო მოვლენა მოხდა.

ახალმა პრემიერ-მინისტრმა მთავრობის განახლებული შემადგენლობა წარადგინა. ჩატარდა ნატოს სამიტი, რომელზეც საქართველოს კვლავ „გაუღეს“ კარი... ორი საპარლამენტო ოპოზიციური პარტია – ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და ევროპული საქართველო 2018 წლის ოქტომბერში დაგეგმილ საპრეზიდენტო არჩევნებზე თანამშრომლობის შესახებ შეთანხმდა.

მედიამ პირველი ორი ამბავი საკმაოდ ინტენსიურად გააშუქა.

ვერ გეტყვით, თუ რამდენად საინტერესო იყო მოსახლეობისთვის მთავრობის განახლებული შემადგენლობა, თუ არ ჩავთვლით ორ ნიშანდობლივ ნიუანსს: 1. ძალიან ძნელია გაერთიანებული სამინისტროების დასახელებების დამახსოვრება და ის, რომ ახალ მინისტრებს, გარდა თეა წულუკიანისა და სერგეენკოსი, ფაქტობრივად, არავინ იცნობს (მე თუ მკითხავთ, დემოკრატიისთვის ეს ბოლო ამბავი ძალიან კარგია და ზედაპირულად მაინც ვართ იმ დასავლურ რეჟიმში, რომლითაც სულაც არ არის აუცილებელი, ხალხმა მინისტრების წარსული, საახლობლო და თუნდაც მათი გვარები იცოდეს).

ნატოს „ღია კარის“ შეფასებისთვის, ფეისბუქზე გამოქვეყნებულ ორ პოსტს მოვიყვან: **ნატოს ღია კარზე მწერების საწინააღმდეგო ბადე ყოფილა გაკრულიო (სარკმელზეც) და მეორე, ეს დედააფეთქებული ნატოა თუ რომელიმე ქართული ბანკი? თუ 20000 ლარი მაქვს ხელფასი, არ გავშავებულვარ, ორი ისეთი მეგობარიც მყავს, ვისაც ასევე ოცოცი ათასი ერიცხებათ, რა ჩემს ჯანდაბად მინდა თქვენგან ფულის სესხება?**

თუ კბილებამდე შეიარაღებული ორმილიონიანი ჯარი მყავს, პუტინს ჩემი სახელის გაგონებაზე ფაღარათი ეწყება, იაპონელები ჩემს ეკონომიკაზე ონანირებენ, რა ჩემს ფეხებად მინდა თქვენი ალიანსი?

გაჭირვებული რო ვარ და სუსტი, მაშინ მინდა დახმარება, თორე ოდესმე ჰონორარი რო ჩამერიცხება, „კაკ მინიმუმ“ სახინკლეში დაგპატიჟებთ!

არ წაიღეს ტვინი ამ დასავლურად მოაზროვნეებმა!

მოკლედ რომ ვთქვა, იმ ორი მოვლენისგან ბევრს არაფერს არ უნდა ველოდოთ, ნუ, უკეთეს შემთხვევაში, ჩავილაპარაკებთ – დაველოდოთ, მთლად ეგრე ხომ არ გაგვწირავენო, მაგრამ აი, მესამე საკითხს, რაც ნაცებსა და ევრონაცებს შორის შეთანხმებას ეხება, რომელიც ევროპის სახალხო პარტიის პრეზიდენტი ჯოზეფ დოლის ხელდასხმით მოხდა(!), საკმაოდ მნიშვნელოვანი ანალიზის საფუძველს გვაძლევს და, ფაქტობრივად, ქართულ პოლიტიკურ სპექტრში მიმდინარე „თამაშს“ სრულად გვაჩვენებს.

დავიწყებ მშრალი ინფორმაციით:

„ორი საპარლამენტო ოპოზიციური პარტია – ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და ევროპული საქართველო 2018 წლის ოქტომბერში დაგეგმილ საპრეზიდენტო არჩევნებზე თანამშრომლობის შესახებ შეთანხმდა.

შეთანხმებას ნაციონალური მოძრაობის წევრმა გიორგი ბარამიძემ და ევროპული საქართველოს წევრმა გიგა ბოკერიამ ხელი ევროპის სახალხო პარტიის ცენტრალურ ოფისში მოაწერეს.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში მხარი ერთმანეთის კანდიდატებს დაუჭირონ. ასევე, კამპანიის დროს, ერთმანეთზე თავდასხმისგან თავი შეიკავონ და პირველ და მეორე ტურებში „მაქსიმალურად მოახდინონ ამომრჩევლის მობილიზება, რადგან არჩევნებია ხელისუფლების შეცვლის გზა“.

ევროპის სახალხო პარტიის პრეზიდენტი ჯოზეფ დოლი, რომელმაც დეკლარაციას ხელი პარტიის სახელით მოაწერა, Twitter-ზე ამ ინიციატივას მიესალმა.

რამდენიმეთვიანი შიდაპარტიული დავის შემდეგ, 2017 წლის დასაწყისში, ევროპული საქართველო ნაციონალურ მოძრაობას გამოიყო. 2017 წლის ოქტომბრის ადგილობრივ არჩევნებში ორი პარტია დამოუკიდებლად მონაწილეობდა, რა დროსაც, ნაციონალურმა მოძრაობამ ხმების 17 %, ხოლო ევროპულმა საქართველომ ხმების 10 % მიიღო.

ნაციონალური მოძრაობა ევროპის სახალხო პარტიას დამკვირვებლის სტატუსით 2008 წელს, ხოლო ევროპული პარტია 2017 წლის სექტემბერში შეუერთდა.

ეს ფაქტი, პირველ რიგში, ბოკერიასთვის ძალიან დიდი შეურაცხყოფაა. შეურაცხოფა და დაცინვაა, რადგანაც დღევანდელი მოცემულობით ბარამიძე არ არის იმ დონის ფიგურა, რომ ბოკერიასთან ერთად თუნდაც ევროსაბჭოს სასადილოში დაჯდეს. ის დაახლოებით კოტე იოსელიანის რანგია. დარწმუნებული ვარ, რომ ბოკერია ამას ხვდება (ყოველ შემთხვევაში, ჩერგოლეიშვილი მაინც) და, სავარაუდოდ, რაღაც მაღვალაკობას მოიფიქრებენ...

ამ შეთანხმების უმთავრეს მიზანს როგორც ამ ორი პარტიისთვის, ასევე ევროპის სახალხო პარტიისთვის, რომლებიც, რბილად რომ ვთქვა, საქართველოს სიყვარულით და მისი ნორმალური განვითარების სურვილით არ გამოირჩევიან, თუ ვინ იქნება მეორე პოლიტიკური ძალა, რასაც, ბუნებრივია, როგორც ქვეყნის შიგნით და უფრო მეტად ქვეყნის გარეთ მიმდინარე პოლიტიკური პროცესებისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

ამიტომ განვიხილავ სწორედაც ამ ე.წ. „პოლიტიკურ ნაბიჯს“, რომელიც გაყოფილი ქრომოსომას ორივე ნაწილის „ცუდ“ ადგილას აღმოჩენამ განაპირობა („ცუდი“ ის ადგილია, სადაც შედეგი არ დგება).

როცა ეს შეთანხმება ცნობილი გახდა, ბოკერია-სააკაშვილის პაქტი დავარქვი, შემდეგ მივხვდი, რომ სააკაშვილმა ბოკერია პოლიტიკურად დაჩაგრა. იგი არ დაეცა ბოკერიას დონეზე, და ხელმოსაწერად ყველაზე უსახო ტიპი, არაფრის გადამწყვეტი, მის ტალღებში მოტივტივე („მოტივტივეს“ არსი, ალბათ, იცით) ბარამიძე გაუშვა. წარმოიდგინეთ, რომ რიბენტროპ-მოლოტოვს კი არა, ანუ საგარეო საქმეთა მინისტრებს, არამედ ჰიტლერ-მოლოტოვის ან სტალინ-რიბენტროპის პაქტი ყოფილიყო. ეს საშინელი დიპლომატიური დამცირება იქნებოდა.

ამიტომ ამ შეთანხმებას რეალურად ბოკერია-ბარამიძის პაქტი შეიძლება, დავარქვათ. თანაც, თუ გავითვალისწინებთ იმ საფუძვლიანად მოარულ ხმებს, რომ ბარამიძე აქტიურად იყო ჩართული ევრონაცებისა და ოცნების ჟღურტულში, რითიც შეგვიძლია, ვივარაუდოთ, რომ მიHა ამ პროცესებსაც საკმაოდ კარგად აკვირდებოდა.

ეს ფაქტი, პირველ რიგში, ბოკერიასთვის ძალიან დიდი შეურაცხყოფაა. შეურაცხოფა და დაცინვაა, რადგანაც დღევანდელი მოცემულობით ბარამიძე არ არის იმ დონის ფიგურა, რომ ბოკერიასთან ერთად თუნდაც ევროსაბჭოს სასადილოში დაჯდეს. ის დაახლოებით კოტე იოსელიანის რანგია. დარწმუნებული ვარ, რომ ბოკერია ამას ხვდება (ყოველ შემთხვევაში, ჩერგოლეიშვილი მაინც) და, სავარაუდოდ, რაღაც მაღვალაკობას მოიფიქრებენ...

საინტერესოა, თუ რატომ წავიდა ბოკერია ასეთ დამცირებაზე?

სავარაუდოდ, მან დაინახა, რომ ის „კალთა“, რომელიც „ახალგაზრდა მეოცნებეების“ გარკვეული ჯგუფის სახით „დაითრია“, ივანიშვილის მეორედ მოსვლის „ჯერ თავო და თავო, შემდეგ პოლიტიკური თამაშების“ პრინციპის გამო ვეღარ გაუძაჩავდა და ანდაზა „ნუ დატოვებ ძველსა გზასა, ნურცა ძველსა მეგობარსა“ გაიხსენეს.

არადა, ძალიან მაგარი მომენტია ის, რომ ორივე მხარემ, რიბენტროპ-მოლოტოვისა არ იყოს, ძალიან კარგად იცის ერთმანეთის ჩათლახი ბუნების ამბავი და ცხადია, ბოლომდე ერთმანეთს არ ენდობიან.

ამ შეთანხმებით, ყველაზე ცუდ დღეში ის ბედუკულმართი „პოლიტიკური ძალები“ აღმოჩნდნენ, რომლებიც ცდილობდნენ „დაბერილი ლოყებითა და ჭკვიანური სახეებით“ მიცუცქებოდნენ სააკაშვილის ღვეზელს.

ცხადია, ბოკერია მიშასგან ფულს არ ელოდება და ეს პაქტი მას, პირველ რიგში, იმ „კალთის“ შესაშინებლად სჭირდება, რომელმაც ძალიან კლასიკურად გადააგდო. მეორე მხრივ კი, დასავლეთში კონსტრუქციული ძალის სახელის დასამკვიდრებლად.

არ გამოვა ეს ქიჩმაჩი. არ გამოვა, რადგანაც ხალხმა ძალიან კარგად იცის მათი „მორიელის ბუნება“ (ხალხს სულხან-საბა აქვს წაკითხული), ხოლო იმ „კალთამ“ კარგად იცის ხალხის განწყობა და დღეს ბოკერიას არანაირ ხმამაღალ მხარდაჭერას არ გამოუცხადებს. არ გამოუცხადებს თუნდაც იმ რეაქციის გამო, რაც ბოკერიასთვის საგამოძიებო კომისიის მიცემას მოჰყვა.

ძალიან კარგად გამოჩნდა, რომ ევრონაცები იმ რაინიკე მელასავით არიან, დებილ მგელს რომ წაღმა-უკუღმა ხმარობს.

მოდით და რეალურად შევაფასოთ ევრონაცების პოლიტიკური შესაძლებლობები:

1. ბოკერია და უგულავა თავიანთი საკმაოდ სოლიდური ინტელექტუალური შესაძლებლობიდან გამომდინარე, რაც ე.წ. „ნამდვილ ნაცებს“ არასდროს ჰქონდათ, მიHას არასდროს უწვებოდნენ. მიHა მათთვის საჭირო ქარიზმატული ლიდერი იყო. ის ლიდერი, რომელსაც ჰქონდა ის ქარიზმა, რაც ამ ორს ნამდვილად აკლდა, მაგრამ თავიანთი გონებრივი მონაცემების წყალობით ნაცების ლიდერშიპში ძალიან გავლენიანი პოზიციები ეკავათ;

2. უგულავა-ბოკერიას „შრომა“ იმ ფორმით არ იყო „დაფასებული“, რაც მათ დააკმაყოფილებდათ. რაც შეეხება ბაქრაძეს, ის უბრალო ტიკინაა, რომელსაც არანაირი ამბიცია არ გააჩნია და მხოლოდ იმ წვრილმან ფინანსებს სჯერდება, რასაც ძვალივით გადაუგდებენ;

3. თავიდან ბოკერიამ და უგულავამ სწორად გათვალეს, რომ გაყოფის შემდეგ ისინი დაკარგავდნენ როგორც ფინანსურ, ასევე პიარ მხარდაჭერას. არ არის ძნელი იმის მიხვედრა, რომ უგულავას მიერ მოპარული მილიონების 99% ნაცების საერთო ყულაბაში წავიდოდა და მათ არ ექნებოდა ისეთი ფინანსური ზურგი, როგორიც კეზერაშვილია. რაც შეეხება პიარმხარდაჭერას, ჩერგოლეიშვილის ისტერიკული ამბიციები უფრო ხელისშემშლელი ფაქტორი გამოდგა. გვარამიასთან და მიHასთან ბოლოდროინდელი დაპირისპირებების გარდა, მაგალითისთვის შეგვიძლია, გავიხსენოთ მისი ძველი, გაყოფამდელი ფრაზა – „რუსთავი-2“-ის გარდა, არსებობს სხვა ტელეკომპანია! ფრაზა, ფაქტობრივად, პირდაპირი მინიშნება იყო, რომ, თუ რეალურად გამოიკვეთებოდა „რ-2“-ის ხალვაშის მფლობელობაში გადასვლა, ამ მიმართულებისთვის ნაცების მიერ გამოყოფილი მთელი ფინანსები „ტაბულასკენ“ წასულიყო. წასულიყო მანამ, სანამ სასამართლოს დასკვნები დაიდებოდა. რაც შეეხება „რუსთავი-2“-ს, უბრალოდ ვიტყვი, რომ მელია, ხაბეიშვილი და ვიღაც-ვიღაცები, იქ მხოლოდ იმიტომ ტივტივებენ, რომ მიHას კუთვნილი ტელევიზია იძულებულია, ეს სუბიექტები ტელევიზორში გამოაჩინოს (გვარამია უბრალოდ იძულებულია, თორემ ნაცების დღევანდელ „ლიდერებს“გადაცემებში კი არა, პოლიტკოვსკაიას ქუჩაზეც არ მიასუნინებდა);

4. ამ გათვლების შემდეგ ე.წ. ევრონაცებმა საკმაოდ რეალური „კალთა“ იპოვეს. სიზმარს უძილოდ არ ნახულობენ-ის პრინციპიდან გამომდინარე, სრულიად რეალურია ის „ჭორები“, რომ მათ ოცნებაში თავიანთი გადამრჩენელი ფიგურები იპოვეს, მაგრამ ოცნებას დღეს ნამდვილად არა აქვს იმის ფუფუნება, რომ ის ხორცმეტი აიკიდოს, რომელიც საზოგადოებაში ბოკერია-უგულავას მიმართ არსებული აგრესიის ისრებს მისკენ გადაიყვანს. თანაც, ოცნება ისე არ გააძლიერებს ბოკერიას, რომ მან ჩანაცვლებაზე რეალური პრეტენზია გამოთქვას. არ გააძლიერებს, რადგანაც იციან, რომ ბოკერია, პირველ რიგში, სწორედ იმათ შეჭამს, ვინც ის გადაარჩინა;

5. სწორედ ეს გახდა იმის მიზეზი, რომ ევრონაცებმა გადაწყვიტეს, ეპოვათ საკმაოდ პრაგმატული გამოსავალი იმ გაურკვეველი და აბსურდული სიტუაციიდან, რაშიც აღმოჩნდნენ: ოცნება მათ ფულს არ მისცემს. ოცნება მათ პიარს ვერ უზრუნველყოფს, თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ არც საკუთარი ტელევიზია გააჩნია და არც რეალური პიარი;

6. სწორედ ამიტომაც მოხდა ე.წ. ევროპული ქოლგის ქვეშ ევრონაცებსა და ნაცებს შორის თავდაუსხმელობის, ანუ სააკაშვილ-ბოკერიას პაქტის გაფორმება. პაქტის, რომლის დღეგრძელობის არავის სჯერა და მხოლოდ ბოკერიას ინტერესებს ემსახურება;

7. არ სჯერა მისი განხორციელების იმ უმარტივესი მიზეზის გამო, რომ პაქტის პირობები აბსოლუტურად შეუსრულებელია;

8. მოკლედ რომ ვთქვა, ამ „ხელშეკრულებით“ ბოკერიამ მოიპოვა „რუსთავი 2“-ში საეთერო დრო, რომლითაც ის აუცილებლად მიაღწევს საკუთარი ინტელექტუალური შესაძლებლობების გადმოფრქვევას. თუნდაც ამით ნაცების დაჩაგვრას და მათი ოდნავ მოაზროვნე ნაწილის გადმობირებას. ასევე მეორე ტურისთვის (თუ ის იქნა) მოიპოვებს ამომრჩეველთა ხმების საკმაოდ სერიოზულ რაოდენობას, რითიც საბოლოოდ დამკვიდრდება როგორც მეორე პოლიტიკური ძალა და კონსტრუქციული ოპოზიცია. ჩახდილ ნაცებს საბოლოოდ გააგდებს ევროპული ველიდან და ევროპის სახალხო პარტიის სრულ მხარდაჭერასაც მიიღებს. მითუმეტეს, რომ იმ პარტიის მიზანიც ის არის, რომ გლადიატორების შერკინების მსგავსად საკუთარი „ფალავანი“ გამოავლინოს.

ᲓᲐᲑᲝᲚᲝᲡ: როგორც ვხედავთ, საპრეზიდენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად, პოლიტიკური პროცესები ნელ-ნელა ცოცხლდება, აქტიურდება და ძალთა ასეთი გადანაწილებები ბუნებრივად იწვევს ჭიაჭუა პარტიების პოლიტიკური ველიდან გაქრობას. რაც შეეხება იმ ისტორიულ მომენტს, რომელიც რეალურმა ქართულმა ძალამ უნდა გამოიყენოს, თავისი თავი წარმოაჩინოს და სწორედაც რომ ხალხზე და არა რაღაც ევროპული პოლიტიკური ძალის ინტერესებზე იმუშაოს, უკვე დადგა.

შევეცდები, რომ იმ კვირაში ქართული ინტერესების შესახებ და მისი გამტარებელი პოლიტიკური ძალისა თუ გარკვეული პოლიტიკური ფიგურების შესახებ მცირე ანალიზი მოგაწოდოთ.

ᲒᲘᲐ ᲒᲐᲑᲠᲘᲩᲘᲫᲔ

აბანოს ქუჩა მეჭი ყურადღების ღირსია!

ღია წერილი ქალაქ თბილისის მერს ბატონ კახა კალაძეს

ბატონო კახა, აბანოთუბნის სხვადასხვა ეროვნების მცხოვრებლებმა ყველამ ერთხმად დაგიჭირეთ მხარი არჩევნებზე და თუ დასაწყისით ვიმსჯელებთ, თქვენ წარმატებით დაიწყეთ თქვენი მოღვაწეობა თბილისის მერის თანამდებობაზე ლოზუნგით – **„სიცოცხლით სავსე ქალაქი“,** თუმცა მალე ეს ლოგო შეიცვალა და თბილისს მოიხსენიებენ როგორც **„ხმაურით სავსე ქალაქს“**. ალბათ თქვენი თანამშრომლები უნდა დაინტერესდნენ, თუ რამდენი შეტყობინება შევიდა 112-ში ხმაურთან დაკავშირებით, იმ უბნებიდან, სადაც განთავსებულია რესტორნები და კაფეები. მაგალითისთვის მოვიყვან თქვენთვის კარგად ცნობილ, ტურისტებისათვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ლეღვთუბანს, სადაც ყოველდღიურად, სულ ცოტა 60 დეციბელის ხმაური ისმის დილიდან საღამომდე.

მე ნეირობიოლოგი გახლავართ და მინდა, შეგახსენოთ, რომ ადამიანებზე ხმაურის დამაზიანებელი გავლენა განპირობებულია ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზემოქმედებით ხმაურის დეციბელებისაგან.

მინდა, მოგახსენოთ, რომ მაღალი ბგერები, ე.წ. **„აკუსტიკური ნაგავი“**, იწვევს თავის ტვინის იმ ნეირონების სიკვდილს, რომელთა მეშვეობით ხორციელდება ხმოვანი ბგერების შეგრძნება და გავრცელება. ბგერის გამაძლიერებლით 45-60 დეციბელის გავლენით შესაძლებელია, განადგურდეს რამდენიმე ასეული ნეირონი, რაც აფერხებს თავის ტვინის განვითარებასა და მეხსიერების ფორმირებას, როგორც ჩანასახის პოსტემბრიონული განვითარების პერიოდში, ისე მოზარდ ახალგაზრდებშიც.

ალბათ დროა, პარლამენტმაც გადასინჯოს მათ მიერ ხმაურზე მიღებული დადგენილება და გაითვალისწინონ ნეირობიოლოგთა მეცნიერული რჩევები ხმაურის დეციბელებთან დაკავშირებით. ახლახან ბათუმის მერიის მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ ქალაქში მოსახლეობის საცხოვრებლის სიახლოეს ხმაურის სიხშირის დეციბელი ადამიანებისათვის დასაშვებ 30 დეციბელს არ უნდა აღემატებოდეს, დარღვევის შემთხვევაში კი გათვალისწინებულია გაფრთხილება, გამეორების შემთხვევაში კი ფულადი ჯარიმა. მედიკოსების მიერ ხმაურთან დაკავშირებით მშვიდ და ხმაურიან ქუჩებზე მცხოვრებ ადამიანებს შორის მიოკარდიუმის ინფარქტის შემთხვევების შესწავლით დადგენილ იქნა, რომ ხმაურიან ქუჩებზე მცხოვრებ ადამიანებში მიოკარდიუმის ინფარქტის შემთხვევები 25%-ით იზრდება. მეცნიერების მიერ ნაჩვენებია, რომ ადამიანზე 20 წუთის განმავლობაში 60 დეციბელის ზემოქმედების პირობებში თავის ტვინში ირღვევა სისხლის მიმოქცევა, მნიშნელოვნად უარესდება ადამიანების სმენა, ზიანდება ყურსასმენი მემბრანა 60 დეციბელის პირობებში, რაც ხშირად შეინიშნება თბილისის სხვადასხვა უბანში საცხოვრებელი ბინების სიახლოეს, მნიშვნელოვნად ზიანდება ცენტრალური ნერვული სისტემა, ირღვევა გულის რითმი, აღინიშნება ტაქიკარდია და სხვ. ჩვენ რატომ ვაძლევთ იმის უფლებას, რომ თბილისში, რესტორნებიდან და კაფეებიდან გამომავალი ხმაური მნიშვნელოვნად აღემატებოდეს 60 დეციბელს, რაც საგრძნობლად აზიანებს მოსახლეობის ფსიქოემოციურ განწყობას, იწვევს აგრესიისა და დეპრესიის ფორმირებას. სამწუხაროდ, საქართველოში დამკვიდრდა ტრადიცია, თითქოს რესტორნებსა და კაფეებში კლიენტების მიზიდვა შესაძლებელია ხმაურიანი მუსიკით, ადამიანების ფიზიკური და ფსიქოლოგიური დაზიანების ხარჯზე. სხვათა შორის ფსიქობიოლოგიური კვლევებით დადგენილია, რომ აგრესიის გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ხმაურია.

2018 წლის 20 ივნისის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა ჩემი წერილი ადამიანებზე ხმაურის დამაზიანებელი გავლენის შესახებ, რამაც დიდი გამოხმაურება ჰპოვა საზოგადოებაში. როგორც ჩანს, ტელევიზიის ჟურნალისტებმა ვერ გაიგეს ჩემი წერილის არსი, რაც მათ არასწორ კითხვებშიც აისახა. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ჟურნალისტებმა ქუჩაში გამვლელ მოქალაქეებს ასეთი კითხვით მიმართეს: „ხართ თუ არა მომხრე, მუსიკოსებმა მუსიკალური მოღვაწეობა ქუჩებში გააგრძელონ?!“

რა თქმა უნდა, მოქალაქეთა დიდმა ნაწილმა ამ შეკითხვაზე დადებითი პასუხი გასცა. საინტერესოა, რა პასუხს მიიღებდნენ ჟურნალისტები, თუ კითხვას ასეთი სახით დასვამდნენ: –„თანახმა ხართ თუ არა, რომ ქუჩის მუსიკოსები ხმის გამაძლიერებელი დანადგარებით მთელი დღის გამავლობაში ერთი და იგივე სიმღერებით ღრიალებდნენ თქვენი სახლის ფანჯრების წინ?“

რა თქმა უნდა, პასუხი იქნებოდა უარყოფითი. სამწუხაროდ, ჩემი წერილის არსიც არასწორად იქნა გაგებული. მე არავარ ქუჩის მუსიკოსების მოღვაწეობის წინააღმდეგი, რა თქმა უნდა, საამისოდ განკუთვნილ ქუჩების გარკვეულ სივრცით არეებში, თუნდაც მიწისქვეშა გადასასვლელებში, სადაც მოქალაქეები უწყვეტლივ მოძრაობენ და მათ ეძლევათ საშუალება, მოუსმინონ მუსიკოსებს ან განერიდონ მათ. თუ მათ სურვილი ექნებათ, მოუსმენენ და თანხასაც გადაუხდიან. მეც დიდი სიამოვნებით მომისმენია ქუჩის მუსიკოსებისთვის და სათანადო გასამრჯელოც გადამიხდია, მაგრამ ჩემი გამოცდილებით, კარგი თუ ცუდი მომღერლების მოღვაწეობა მოქალაქეთა სახლების ფანჯრების წინ, ერთი და იგივე პროგრამით, ხმის გამაძლირებლის ფონზე, ყოვლად დაუშვებელია.

ახლა კი მინდა, მოგახსენოთ იმ უმძიმესი მდგომარეობის შესახებ, რაც განვითარდა კონკრეტულად კრწანისი-მთაწმინდის რაიონის აბანოს ქუჩაზე. არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ეს უბანი ერთადერთი უნიკალური უბანია მთელ საქართველოში, სადაც ჯერ კიდევ შემორჩენილია ძველი თბილისისთვის დამახასიათებელი კლდეზე გადმოკიდებული ქართულაივნიანი შენობები, მომხიბვლელი არატრადიციული ჭრელი აბანო დიუმასა და პუშკინის საბანაო აბაზანებით, საოცრად მომხიბვლელი ჩანჩქერი და პატარა მდინარე, რაც იზიდავს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულ ტურისტებს და რაზეც მიგვანიშნებს საქართველოში უკან დაბრუნების იმედის მომცემი ხიდებზე ჩამოკიდებული მრავალრიცხოვანი საკეტი ბოქლომები. გაუფრთილდეთ ამ უნიკალურ უბანს და ნუ შევწირავთ სოციალური პირობების აუტანელ გარემოს! აბანოს ქუჩის სულ რაღაც 500 მეტრის ტერიტორიაზე უნდა მოწესრიგდეს უმძიმესი სოციალური გარემო, რაც განპირობებულია წარმოქმნილი ხმაურით, საცობებითა და მანქანების გამონაბოლქვით, რაც არღვევს მოსახლეობის ჯანმრთელობას და ქვეითად მოსიარულე ტურისტების მიმოსვლას. სამწუხაროდ, ადგილობრივი მოსახლეობა ვერ ახერხებს მანქანით ვერც გასვლას და ვერც უკან დაბრუნებას, შეუძლებელი ხდება სასწრაფო დახმარების მანქანის შემოსვლაც. ამას წინათ, ხმაურზე გამოძახებულმა პოლიციის მანქანამ ხარძლივი დროის განმავლობაში ვერ შეძლო შემოსვლა მანქანებით ჩახერგილ ქუჩაზე. იყო რამდენიმე შემთხვევა, როცა მანქანა დაეჯახა ტურისტების ჯგუფს, მაგრამ ეს ფაქტი არ დაფიქსირებულა... საგულისხმოა, რომ მცირეწლოვანი ბავშვების ეტლით გადაყვანაც შეუძლებელია.

აღნიშნულთან დაკავშირებით, გთხოვთ, აბანოს ქუჩის ტერიტორია გამოცხადდეს ნაკრძალად და აიკრძალოს მანქანების შესვლა, ისე როგორც ეს გაკეთდა აღმაშენებლის გამზირზე. მოგახსენებთ, რომ ტურისტების მოძრაობა აბანოს ქუჩაზე გაცილებით ინტენსიურია ვიდრე აღმაშენებელზე. ამ პრობლების შესახებ დახმარება ვთხოვეთ ტურიზმის დეპარტამენტს, მაგრამ დავრწმუნდით, რომ მათ მხოლოდ შემოსული თანხა აინტერესებთ და არა ტურისტების კვალიფიციური მომსახურება. უცხოელი ტურისტები დიდ უკმაყოფილებას გამოთქვამენ ტუალეტის უქონლობის გამოც, რაც ხშირად იწვევს სადარბაზოების წაბილწვას. სხვათა შორის, ხმაურისა და მანქანებით გადატვირთულობის, მანქანების გაზრდილი გამონაბოლქვებით ატმოსფეროს დაბინძურების გამო სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული ტურისტები განერიდებიან აბანოთუბანში ბინების დაქირავებასაც, რაც მნიშვნელოვნად აზარალებს მოსახლეობის კერძო ბიზნესს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ლეღვთუბანში ტურისტების უსაფრთხოებისა და ფეხით სავალის გათავისუფლების მიზნით აუცილებელია, აბანოს ქუჩაზე აიკრძალოს მანქანების შესვლა, ხოლო სითი პარკის მიერ მონიშნულ ტერიტორიაზე მანქანების გააჩერება ნებადართული გახდეს მხოლოდ აბანოს ქუჩაზე მცხოვრებთათვის, კაფე-რესტორნებისა და აბანოს დირექციის ხელმძღვანელებისთვის.

ქვემოთ მინდა, წარმოგიდგინოთ დღის განმავლობაში აბანოს ქუჩაზე მანქანებით გადატვირთული მდგომარეობის ამსახველი სურათები, საიდანაც კარგად ჩანს ტურისტებისთვის სანახაობრივად ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უბნის ის უმძიმესი მდგომარეობა, რაც დღეს არსებობს აბანოს ქუჩაზე.

სამწუხაროდ, შექმნილი მდგომარეობის შესახებ თქვენდამი რწმუნებულმა თანამშრომლებმა ჩემი წერილი თქვენ არ გადმოგცეს. ასეთი მდგომარეობა აბანოთუბანში, როგორც ჩანს, მათ სათანადოდ ვერ აღიქვეს, მათი გადაწყვეტილება კი ვერ აკმაყოფილებს ჩვენ მოთხოვნებს.

ბოლო იმედი თქვენ ბრძანდებით! თუ ეს საკითხი მოსახლეობისა და ტურისტების სასარგებლოდ დროულად არ გადაწყდება, მოსახლეობა იძულებული გახდება, მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს, თუ რამდენადაა დაცული მოსახლეობისა და სტუმრად ჩამოსული ტურისტების უფლებები და მათი მომსახურება. ვფიქრობ, რომ დღეს თქვენს ხელთაა აბანოსუბნის, როგორც საქართველოს უძველესი მემკვიდრეობის ძეგლის შენარჩუნება და დამკვიდრება მომავალი ტურისტების მოსაზიდად.

გთხოვთ, აღასრულოთ ჩვენი სამართლიანი მოთხოვნა, ამით თქვენ შექმნით უსაფრთხო, ტურისტებისთვის მიმზიდველ უბანს და თქვენი დანაპირების – **„სიცოცხლით სავსე ქალაქის“** დამკვიდრებას.

პაგივისცემით, აბანოს ქუჩის მცხოვრებთა სახელით საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ნუგზარ ალექსიძე.

საქართველოში დაბალი სტანდარტების ავტომობილების შემოყვანა უნდა შეიზღუდოს!

ეს განცხადება თბილისის მერმა კახა კალაძემ დედაქალაქის მთავრობის გუშინდელ სხდომაზე განაცხადა, სადაც ის ეკოლოგიურ მდგომარეობასთან და ამ მიმართულებით განსახორციელებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძის ინიციატივას გამოეხმაურა.

„მინდა, გამოვეხმაურო პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძის განცხადებას, რომ აუცილებელია, მოხდეს საწვავის მიმართულებით გარკვეული ცვლილებები, ანუ ხარისხი იქნეს ამაღლებული, რაც მისასალმებელია. ვფიქრობ, რაც შეიძლება მალე არის განსახორციელებელი ეს ცვლილება, რომ საქართველოში შემოვიდეს მაღალი ხარისხის საწვავი, განსაკუთრებით საუბარია დიზელის მიმართულებაზე“, – განაცხადა კალაძემ. ამასთან, მისი თქმით, უნდა შეიზღუდოს დაბალი სტანდარტების ავტომობილების შემოყვანა და წახალისდეს ახალი ავტომობილების შემოსვლა.

„ასევე უნდა შეიზღუდოს დაბალი სტანდარტების ავტომობილების შემოსვლა ჩვენს ქვეყანაში, რომელიც სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს და ვფიქრობ, უნდა წავახალისოთ ახალი ავტომობილების შემოყვანა. ელექტრომობილებზე საერთოდ ყველანაირი შეზღუდვა მოხსნილია იმისთვის, რომ რაც შეიძლება მეტი ელექტრომობილი შემოვიდეს, ჰიბრიდებზე კი, არის გარკვეული შეღავათები. თუმცა ჯერჯერობით, შემოდის ძველი ჰიბრიდული ავტომობილები, რომელიც ვფიქრობ, ასევე სერიოზული პრობლემაა გარემოსთვის“, – განაცხადა კალაძემ.

რუს მესაზღვრეებზე განაწყენებული აფხაზები

აფხაზები რუსეთის მესაზღვრეების მიმართ უკმაყოფილებას გამოთქვამენ. მათი თქმით, ისინი უხეშები არიან და ყოველ გადასვლაზე, ფაქტობრივად, დაკითხვას უწყობენ.

თქვენ ვერ იგებთ, რომ მესაზღვრეებს აქვთ კითხვარი, რომლის მიხედვითაც კითხვები უნდა დასვან. თუ არ დასვეს, მათ მიმართ, შესაძლოა, სისხლის სამართლის საქმეც აღძრან...

გაცნობით შეხვედრაზე, რომელიც სოხუმში თვითაღიარებული აფხაზეთის საზოგადოებრივი პალატის წევრებსა და რუსეთის ახლად დანიშნულ ელჩ ალექსეი დვინიანინს შორის გაიმართა, ლამის ყველაზე აქტუალური თემა რუსეთ-აფხაზეთის ე.წ. სასაზღვრო პუნქტი იყო.

ალექსეი დვინიანინი: **„თქვენ ვერ იგებთ, რომ მესაზღვრეებს აქვთ კითხვარი, რომლის მიხედვითაც კითხვები უნდა დასვან. თუ არ დასვეს, მათ მიმართ, შესაძლოა, სისხლის სამართლის საქმეც აღძრან. ამიტომ გთხოვთ, არ იფიქროთ, რომ ეს სუბიექტური მიდგომაა მესაზღვრეების მხრიდან“.**

დაახლოებით ერთი თვის წინათ აფხაზურ მედიასა და სოციალურ ქსელებში დე ფაქტო აფხაზეთის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ვიაჩესლავ ჩირიკბა წერდა:

„მესაზღვრემ რუდუნებით შეისწავლა ჩემი რუსული საშინაო პასპორტი, მოსკოვში ჩაწერით. კომპიუტერზე რაღაცას კრეფდა. დოკუმენტი აპარატში გაატარა. გადაფურცლა, ეჭვით დახედა ჩემს ფოტოსურათს, შემდეგ კი მკაცრად მიბრძანა: „მიყურეთ!“ და ისევ განაგრძო ფოტოსა და ჩემი ფიზიონომიის ერთმანეთთან შედარება. ამის მერე თქვა: „არ ვარ დარწმუნებული, რომ ეს თქვენ ხართ! რა მიზნით მიდიხართ აფხაზეთში?“ ჩემს პასპორტში ჩემი აფხაზური გვარი და დაბადების ადგილი — აფხაზეთი — გარკვევით წერია. რატომ უნდა ვუხსნიდე, რისთვის მივდივარ სამშობლოში? უფროსს დავუძახე. ის მოვიდა და რაღაცის დაზუსტება დაიწყო, თან ჩემ მიღმა იყურებოდა. სადღაც 10 წუთი ვიდექი. რაღაცას ჯიუტად არკვევდა კომპიუტერში და შემდეგ აშკარად დანანებით დამიბრუნა პასპორტი. არც შემოუხედავს, ისე მითხრა, შეგიძლია, წახვიდეო. ბოდიშის მოხდაზე ლაპარაკი არც იყო. ალბათ,ისევ მე უნდა ვყოფილიყავი მადლობელი, რომ, ბოლოს და ბოლოს, გამიშვეს“.

„და ეს ყველაფერი, უხეშად, ცივად, ყოველგვარი ადამიანური გრძნობების გარეშე“, — წერდა ჩირიკბა სოციალურ ქსელში და ადარებდა იმას, თუ როგორ მუშაობენ რუსეთ-ფინეთის საზღვარზე: „ჰო შეუძლიათ, როცა უნდათ?! თუმცა განა აფხაზეთი უფრო მეგობრული ქვეყანა არ არის, ვიდრე ფინეთი?“

კომენტარებში გამოითქვა აზრი, რომ ეს საზღვარი არსებული სახით უნდა გაუქმდეს და მოეწყოს ისე, როგორც ევროკავშირის ქვეყნებს შორის არის მოწყობილი ან როგორც რუსეთსა და ბელარუსს შორის. მაგრამ სხვა შეეწინააღმდეგა: **„სანამ ჩვენთან ყოველ მეორეს სახლში ავტომატი, ყუმბართმტყორცნი და ა.შ. უდევს, საზღვარი ჩარაზული იქნება“.**

ჟურნალისტი ვიტალი შარია აღწერს სიტუაციას, რომელსაც თავადვე შეესწრო: **„სარკმლიდან გადმოწეული მესაზღვრე დიდხანს დაკითხავდა ხუთი წლის გოგონას, რომელიც დედასთან ერთად იდგა. ერთმანეთს წვეთი წყალივით ჰგავდნენ: „რა გქვია? რა გვარის ხარ? რამდენი წლის ხარ? როდის არის შენი დაბადების დღე? დედის სახელი?“ გოგონა დაუბრკოლებლად პასუხობდა, მაგრამ ეს ყველაფერი ყველა ბავშვმა ხომ არ იცის ამ ასაკში? რამე რომ დავიწყებოდა? შეიძლება სწორი არა ვარ, მაგრამ შეკითხვების გაუთავებელ ნაკადს რომ ვუსმენდი, ერთი ანდაზა გამახსენდა: „აბა, აიძულე შტერი, ილოცოს“.**

თვითაღიარებული აფხაზეთის საზოგადოებრივი პალატის საბჭოსთან შეხვედრაზე ალექსეი დვინიანინმა განაცხადა, რომ მისთვის ნონსენსია ის, რომ რუსეთსა და აფხაზეთს შორის ჯერაც არ არის ხელმოწერილი დოკუმენტი სასაზღვრო ხაზის შესახებ.

„პროექტი აფხაზეთის მთავრობას ჯერ კიდევ ოთხი წლის წინათ გადავეცით. ვერ გამიგია, რა პრობლემაა? ვფიქრობ, რომ ასეთი საკითხები ავტომატურად უნდა გადაიჭრას. ვთხოვ საზოგადოებრივ პალატას, შუამდგომლობა გაუწიოს ამ საკითხის მოგვარებას. თქვენ მოგმართავთ რაღაც კითხვებით და პრობლემებით საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებით, მაშინ როცა საბაზისო დოკუმენტებზე არ გვაქვს ხელი მოწერილი“, — ამბობს ალექსეი დვინიანინი.

მომზადებულია „ეხო კავკაზას“ კორესპონდენტის ვიტალი შარიას სტატიის მიხედვით.

გელა დუმბაძე:

გამარჯვება მხოლოდ ცივი გონებითაა შესაძლებელი

უკრაინის ყოველკვირეულ გაზეთ „Аргументы недели“-ში გამოქყვეყნებულ ინტერვიუში საქართველოს ელჩი გელა დუმბაძე ჟურნალისტ იულია ჩერნიკოვასთან საუბრობს საქართველო-უკრაინის ურთიერთობაზე, ქართველი და უკრაინელი ხალხების მეგობრობაზე, საქართველოში გატარებულ რეფორმებზე, ეკონომიკურ მიღწევებზე, საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე, დიპლომატიურ კარიერაზე, პირად საკითხებზე...

— ბოლო ორი ათეული წლის მანძილზე საქართველომ ბევრი რამ გადაიტანა — სამხედრო გადატრიალებები, რევოლუციური მომენტები... როგორია ამჟამად ქვეყანაში არსებული სიტუაცია?

— ჩვენ მრავალი ეტაპი გავიარეთ. სამწუხაროდ, დღეს საქართველოს ტერიტორიის 20% ჩრდილოელი მეზობლის მიერაა ოკუპირებული. ამის მიუხედავად, საქართველო ვითარდება, საქართველო თანამედროვე ქვეყანაა, ქართველი ხალხი კონსოლიდირებულია — მოსახლეობის 87% მხარს უჭერს ევროატლანტიკურ ინტეგრაციას. რეფორმატორული თვალსაზრისით ჩვენ ბევრ ქვეყანას ვუსწრებთ. სერიოზული წარმატებები გვაქვს სოციალურ სფეროში, იუსტიციისა და საბანკო საქმეებში. საქართველოში მასმედია თავისუფალია, ბევრია კერძო ტელეკომპანია და გამოცემა. უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებში კი საქართველოს ევროპაში ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია.

— საოცარია, თუ როგორ ბრწყინვალედ გატარდა თქვენთან რეფორმები... პოლიცია, ჯანდაცვა, მართვის სტრუქტურები — ყველაფერი ევროპული სტანდარტებით მუშაობს. რაშია წარმატების საიდუმლო?

— როცა პოლიტიკური ნება და ხალხის მხარდაჭერაა, მაშინ წარმატება ყოველთვის იქნება. ჩვენთან სწორედ ასე მოხდა, თანაც ყველა რეფორმა ერთდროულად გატარდა. ამის შედეგად საქართველო დღეს ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი ქვეყანაა ბიზნესის დაწყებასთან დაკავშირებით. ჩვენ ბიუროკრატიისაგან ვთავისუფლდებით და წინ მივდივართ. მიმდინარე წელს ასი წელი შესრულდა საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნიდან. მან მხოლოდ ორნახევარი წელი იარსება, მაგრამ სწორედ მაშინ ჩაიდო დემოკრატიის საფუძვლები. დღეს ჩვენ იგივე კურსით მივდივართ, ახალი საუკუნის მოთხოვნების გათვალისწინებით...

— გთხოვთ, უფრო ვრცლად გვითხრათ, როგორი დამოკიდებულება აქვს საქართველოს ხელისუფლებას თავის თანამემამულეებთან, რომლებიც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზე ცხოვრობენ. უკრაინისათვის ეს თემა ძალიან აქტუალურია...

— როცა ჩვენ ვსაუბრობთ დროებით დაკარგულ ტერიტორიებზე, ამ დროს ყველაზე მეტად ვგულისხმობთ იქ მცხოვრებ ადამიანებს, ვიდრე მიწის კონკრეტულ ნაწილს. ჩვენ დღემდე ვცდილობთ, რომ იქაურ მოსახლეობას მაქსიმალურად მოსახერხებელი პირობები შევუქმნათ. მათ ამჟამად თავისუფლად გადაადგილება შეუძლიათ თბილისისკენ. ისინი იღებენ უფასო განათლებას, უზრუნველყოფილნი არიან უფასო სამედიცინო მომსახურებით.

— და ამისთვის საკმარისია მხოლოდ ქართული პასპორტის წარდგენა?

— პასპორტის გარეშეც. ჩვენ მათ ყველანაირად ვეხმარებით, მაგრამ ჩვენი მხრიდან ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოხვედრა, პრაქტიკულად, შეუძლებელია.

— ჰენრი კისინჯერის ნათქვამია — „დიპლომატია ძალის ალაგმვის ხელოვნებაა“. თქვენი აზრით, რა არის მთავარი დიპლომატის მუშაობაში?

— გამარჯვება მხოლოდ ცივი გონებითაა შესაძლებელი. რისხვის შეკავება — აი, სწორედ ესაა მნიშვნელოვანი. ოპონენტებმა არ უნდა დაინახონ თქვენი ემოციები. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პირობა დიპლომატისათვის: იჩქარე ნელა.

„Аргуменыы недели“ (უკრაინა)
სს „ნიუსპრესი“

რუსეთში პოლონელი დიპლომატი სცემეს

პოლონეთის საგარეო უწყების ინფორმაციით პოლონელ დიპლომატს არამდგრადი ფსიქიკის პირი თავს მაშინ დაესხა, როდესაც ის ირკუტსკიდან მოსკოვში მიფრინავდა. „ირკუტსკი-მოსკოვის მარშრუტზე საქმიანი მივლინებიდან დაბრუნების დროს, პოლონელი დიპლომატი სცემეს.“— ნათქვამია საგარეო უწყების განცხადებაში. თავდამსხმელი დაკავებულია, პოლონელ დიპლომატს აღმოუჩინეს სამედიცინო დახმარება და ის ვარშავაში გაფრინდა. პოლონეთი მოსკოვს თავდასხმის დეტალების გარკვევას სთხოვს.

თურქეთის დაზვერვამ აზერბაიჯანსა და უკრაინაში გიულენის ორგანიზაციის წევრები დააკავა

თურქეთის უსაფრთხოების სამსახურმა ჩატარებული სპეცოპერაციის დროს ფეთჰულაჰ გიულენის ორგანიზაციის ორი წევრი უკრაინასა და აზერბაიჯანში დააკავა და თურქეთში დააბრუნა. ისა ოზდემირი და სალიჰ ზეკი იიგიტი სტამბოლში კერძო თვითმფრინავით ჩაიყვანეს. მათ ტერორისტულ ორგანიზაციასთან კავშირი ედებათ ბრალად. ისა ოზდემირიმ 1997 წელს ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრა, დააარსა სამშენებლო კომპანია Avro 2000 და გიულენის დაჯგუფების ფინანსებზე იყო პასუხისმგებელი. სალიჰ ზეკი იიგიტი მერსინის პროვინციაში გიულენის ორგანიზაციის სახელით მეწარმეებისგან ფულს აგროვებდა და შეგროვილ თანხას აშს-ში პელსილვანიის შტატში აგზავნიდა. თურქეთში 2016 წლის უშედეგო გადატრიალების შემდეგ უკრაინას შეაფარა თავი.

აშშ რუსეთსა და ევროპას სანქციებით ემუქრება

აშშ რუსეთსა და ევროპის ქვეყნებს ვაშინგტონის პოზიციის მიუხედავად, ირანისგან ნავთობის შესყიდვის შემთხვევაში სანქციებით ემუქრება. ამის შესახებ აშშ-ის ფინანსთა მინისტრმა სტივენ მნუჩინმა კონგრესში განაცხადა. პარლამენტარებმა მინისტრს ჰკითხეს, რომ ჩინეთი, რომელიც ირანის ნავთობის ყველაზე მსხვილი მყიდველია და რომელთანაც აშშ სავაჭრო ომი აქვს, რამდენად ეტყვის ირანს უარს. ამის პასუხად მინისტრმა განაცხადა, — „გავიმეორებ, ჩვენ ნებისმიერს დავუწესებთ სანქციებს, იქნება ეს რუსეთი, ჩინეთი, ევროპა თუ კიდევ სხვა.“

პენსია თუ ჩიტების საკენკი?..

თვალი მოვავლოთ მსოფლიოს

ცოტა ხნის წინათ სატელევიზიო ახალ ამბებში სასიამოვნო ცნობამ გაიჟღერა: საზოგადოებრივი წესრიგის დამცველთა წასახალისებლად, საპატრულო პოლიციის თანამშრომლების ხელფასს 250-250 ლარი დაემატება. ეს უდავოდ ძალიან კარგი ნაბიჯია, რომელიც სახელმწიფოს სამსახურში მყოფთა და მათი ოჯახების წევრთა კეთილდღეობის ასამაღლებლადაა მიმართული, მაგრამ ამავე დროს გუნებაში უნებლიეთ ერთი სხვა ამბავიც წამოტივტივდა, რომელიც დარწმუნებული ვარ, აუარება ხალხს უბრალოდ კი არ ადარდებს, არამედ დღენიადაგ სიცოცხლის დარჩენილ დღეებსაც უსწრაფებს. ესაა ჩვენი პენსიონერების ყოველთვიური გასამრჯელო, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა საპატრულო პოლიციის თანამშრომელთათვის მოსამატებელ 250-ლარიან დონეს არა თუ ვერ აღწევს, არამედ ამ დონეს დაანონსებული 20-ლარიანი მომატების შემდეგაც ვერ „მისწვდება“.

თუმცა, ჩვენში არის მოსახლეობის ერთი არცთუ მრავალრიცხოვანი ფენა, რომელიც სხვებზე გაცილებით მეტ საპენსიო უზრუნველყოფას იღებს. ესენი, ცხადია, პირველ ყოვლისა, ძალოვანი უწყებების ყოფილი თანამშრომლები, სასამართლო, სახელმწიფო და, რაღა თქმა უნდა, საკანონმდებლო უწყებების ყოფილი თანამშრომლები არიან, რომელთა ნაღვაწი, ყველა სხვა პროფესიის – ექიმთა, მასწავლებელთა, აგრონომთა, ინჟინერთა, სხვათა და სხვათა ნაშრომნაღვაწზე გაცილებით უფრო „ფასეულია“. ყოველ შემთხვევაში, სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნიხრით ეს აპრიორი ასეა და თუ არა, იქნებ, ვინმემ სათანადოდ არგუმენტირებული პასუხი მოგვაწოდოს.

დარწმუნებული ვართ, ჩვენი მკითხველებისთვის უცნობია, თუ რა ხდება ამ მხრივ ცივილიზებულ სამყაროში, რომლისკენ ასე მივისწრაფით. თავდაპირველად, შედარებისთვის აღვნიშნავთ, რაც კარგად ვიცით: ამჟამად **საქართველოში** ასაკით პენსია სავალუტო კურსის შესაბამისად 72 დოლარია, ხოლო **დანიაში** ის ყოველთვიურად 2800 დოლარს შეადგენს. ისე კი, ალბათ, იმის თქმაც ღირს, რომ სახელმწიფო დონეზე პირველი პენსიები ყოფილ სამხედროებს ჯერ კიდევ ძველ რომში დაენიშნა და ამის ინიციატორი გაიუს იულიუს კეისარი გახლდათ.

ამასთან, ისიც უნდა ითქვას, რომ ხანდაზმულობით სოციალური დაზღვევა (რის ფულადი გამოსახულება სწორედ პენსიაა) ყველა ქვეყანაში როდია – მაგალითად, **ირლანდიაში** პენსიებს სახელმწიფო არ გასცემს, მისი მიღების ერთადერთი გზა კერძო სახელმწიფო საპენსიო ფონდებში მონაწილეობაა.

მსოფლიოში საპენსიო დანაზოგთა ყველაზე დიდი მოცულობა **იაპონიის** სახელმწიფო საპენსიო საინვესტიციო ფონდს აქვს – 2017 წლის ოქტომბრისთვის მის ანგარიშზე 1,238 მილიარდი დოლარი იყო დაგროვილი. მეორე ადგილზეა **ნორვეგიის** სახელმწიფო საპენსიო ფონდი, სადაც 893 მილიონი დოლარია აკუმულირებული. აქვე იმის თქმაც შეიძლება, რომ უმსხვილეს საპენსიო ფონდთა ნუსხაში მეცხრე ადგილზე **სინგაპურის** „სენთრალ პროვიდენტ ფონდია“, თუმცა კი ქვეყნის მოქალაქეთა რიცხოვნობა სულ 5,9 მილიონი კაცია.

თანამშრომელთა რიცხოვნობით მსოფლიოში პირველ ადგილზეა **რუსეთის** საპენსიო ფონდი, სადაც 120 ათასი კაცი მუშაობს. ამასთან, შედარებისთვის შეიძლება ითქვას, რომ **ამერიკის შეერთებული შტატების** ანალოგიურ უწყებაში, სადაც რუსეთში ორჯერ მეტი ხალხი ცხოვრობს, ორჯერ ნაკლები ხალხია დასაქმებული. საინტერესოა ისიც, რომ საპენსიო უზრუნველყოფა და სოციალურ შემწეობათა ოდენობა რუსეთს ექვსჯერ აღემატება: აშშ-ში ის 1400 დოლარია, რუსეთში – 225 დოლარი (14 ათასი რუბლი).

როგორც ცნობილია, საქართველოში საპენსიო უზრუნველყოფა ქალებს 60 წლიდან ეკუთვნით, მამაკაცებს – 65 წლიდან. მაგალითისთვის აღვნიშნავთ, რომ ვთქვათ, **ისრაელში** ეს ზღვარია, შესაბამისად, 62 და 67 წელი, **ნორვეგიასა** და **ისლანდიაში** – ერთიანად ყველასთვის დადგენილია 67 წელი. **ბელგიაში** ამ ზღვარს (67 წელს) საპენსიო ასაკმა 2030 წლისთვის უნდა მიაღწიოს. **ჩეხეთში** ეს ასაკი დაბადების წლის მიხედვით იზრდება: მაგალითად, 1977 წლის შემდეგ დაბადებულები პენსიაში 67 წლის მიღწევის შემდეგ გავლენ, 1995 წლის შემდეგ დაბადებულნი კი მას უკვე 70 წლის მიღწევისას მიიღებენ.

ირლანდიის მსგავსად, საყოველთაო საპენსიო უზრუნველყოფა არც **ჩინეთშია**. 1949 წლამდე ხანდაზმულ მშობელთა უზრუნველყოფის ყველა ხარჯის გაწევა უფროს შვილებს ეკისრებოდა. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნის მომენტიდან სახელმწიფო მოსამსახურეთათვის და მრეწველობის მუშაკთათვის, რომლებმაც ორგანიზაციაში 15 წელზე მეტი ხანი იმუშავეს, საბაზო პენსია იყო გათვალისწინებული. 21-ე საუკუნიდან მოყოლებული, ქვეყანაში საპენსიო სისტემა გადაიხედა, ამჟამად იქ პენსიას იღებენ როგორც სახელმწიფო სექტორის მოსამსახურეები, ასევე მუშები, გლეხები და კერძო საწარმოთა მუშაკები.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მონაცემებით, ასაკოვანი ადამიანები **ნიდერლანდში, თურქეთსა** და **ხორვატიაში** პენსიას იმ ხელფასის ოდენობით იღებენ, რომელსაც პენსიაში გასვლის მომენტში იღებდნენ. თუმცა, ჰოლანდიელ და თურქ პენსიონერებს შესაბამისად, იმ ხელფასის 101 და 102 პროცენტს უხდიან.

არა გვგონია, რომ წინამდებარე მასალის წაკითხვის შემდეგ საქართველოს პენსიონერთა სოციალურ უზრუნველყოფაში რაიმე ოდნავ მაინც შესამჩნევი ცვლილებები მოხდეს, ან რომელიმე კანონშემოქმედს ამ მიმართულებით ქმედითი მოღვაწეობის სურვილი მოეძალოს, თუმცა კი „ინფორმაცია განსჯისთვის“ მასში ნამდვილად არის.

ოთარ ტურაბელიძე

◎ ჩვენი კარაბადინი

ძილის ჰარმონია

ჯანმრთელობა წარმოუდგენელია სრულფასოვანი ძილის გარეშე, არადა, დედამიწაზე ყოველი მესამე კაცი უძილობას უჩივის. მაშ, როგორ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ყოველ ღამეს საკმარისად გვეძინოს?

მიჩნეულია, რომ სრულფასოვანი დასვენებისთვის ადამიანს რვა საათის ძილი სჭირდება, მაგრამ ეს ნორმა არ არის უნივერსალური – ზოგიერთს ნაკლები ძილიც ჰ ყოფნის. ამიტომ ამ შემთხვევაში მთავარი ისაა, თუ როგორ გრძნობთ თავს.

ზოგჯერ ხდება, რომ გარკვეული ვითარების გამო კაცს ღამის გატეხვა უწევს. თუკი ესაა ერთეული შემთხვევა, ამაში საშიში არაფერია, მაგრამ ქრონიკული უძილობა ჯანმრთელობისთვის საშიშია: ამას მოჰყვება წნევის თამაში, გულისცემის აჩქარება, პრობლემების წარმოშობა კუჭ-ნაწლავთან დაკავშირებით, წყლულების გაღიზიანება და სხვ.

არსებობს ძილის დარღვევების მრავალი სახეობა, ყველაზე გავრცელებული კი **უძილობაა**, რომლის დიაგნოსტირება იმ შემთხვევაში ხდება, თუკი პაციენტი მას ერთი თვის მანძილზე კვირაში სამჯერ უჩივის.

ამ დროს აუცილებლად უნდა მიმართოთ ექიმს!

ძილის დარღვევის მრავალრიცხოვან მიზეზთა შორის ყველაზე გავრცელებულია ორგანიზმში ჰორმონ **მელატონინის** დეფიციტი, რომლის მთავარ ფუნქციას ძილის რეგულირება წარმოადგენს. მისი დონის მატებასთან ერთად ჩვენ ძილი გვერევა. მისი გამომუშავება მკვეთრად ექვემდებარება დღეღამურ ბიორითმებს: მაქსიმალურ დონეს ის შუაღამიდან დილის 5 საათამდე დროის მონაკვეთში აღწევს. დღის მანძილზე მისი გამომუშავება ნელდება, რადგან მის სეკრეციაზე განათება მოქმედებს – მზის სინათლე მისი წარმოშობის სიჩქარეს ამცირებს. თანაც მისი წარმოება ასევე ნელდება ასაკის მატებასთან ერთად.

მელატონინი საჭიროა არა მარტო სრულფასოვანი ძილისთვის, არამედ სხვა ჰორმონების, მათ შორის **ლეპტინის** წარმოებისთვისაც, რომელიც ნივთიერებათა ცვლაში მონაწილეობს, რის გამო მას „დანაყრების ჰორმონს“ უწოდებენ. მისი უკმარისობა კი გამუდმებული შიმშილის გრძნობას იწვევს აქედან გამომდინარე ყველა უარყოფითი შედეგით. გარდა ამისა, **ლეპტინი** აძლიერებს ორგანიზმის დაცვით ფუნქციებს – მაგალითად, ისინი, ვინც უძილობას უჩივიან, სხვებთან შედარებით ორჯერ უფრო ხშირად ცივდებიან. უაღრესად მნიშვნელოვანია ისიც, რომ ლეპტინს სიმსივნის საწინააღმდეგო თვისებებიც აქვს, თანაც ის დაბერების პროცესს ანელებს და სტრესებს ხსნის – ამცირებს განგაშის გრძნობასა და აუმჯობესებს ემოციურ მდგომარეობას.

მელატონინის გამომუშავების ნორმალიზებისთვის კი უაღრესად მნიშვნელოვანია **დღის რეჟიმის დაცვა**: კერძოდ, დასაძინებლად ერთსა და იმავე დროს დაწოლა (უმჯობესია შუაღამემდე), ღამე ხელოვნური განათებისთვის თავის მორიდება, ვინაიდან ის ჰორმონის გამომუშავებას ანელებს. ამასთან, საჭიროა კვების გარკვეული რაციონის დაცვა: მცენარეული ცილები ორგანიზმს ძვირფასი ამინომჟავებით სრულად ვერ უზრუნველყოფენ, ამიტომ მიირთვით ყველი, თევზეული, საქონლის, ქათმისა და ინდაურის ხორცი, რძე, ნიგოზი, არაქისი.

ნურც საძინებლის სწორად მოწყობა დაგავიწყდებათ, სადაც საკმარისად უნდა ბნელოდეს.

მოამზადა
ნინო ალექსანდრიამ

მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული ქალაქები

შვეიცარიის ქალაქები ციურიხი და ჟენევა გახდა მსოფლიოს ყველაზე ძვირადღირებული ქალაქები. იუწყება Prices and Earnings-ის კვლევების მონაცემები, რომელიც ბანკმა UBS AG-მა ჩაატარა.

ტოპ ხუთეულში ასევე შევიდნენ – ოსლო, კოპენჰაგენი და ნიუ იორკი. სულ სიაში შესულია მსოფლიოს 77 ქალაქი.

კვლევის თანახმად, ყოველთვიური შემოსავალი, რომელიც უზრუნველყოფს ოთხი ადამიანისგან შემდგარ ოჯახს საქონლისა და მომსახურების მინიმალური კომპლექტით, საცხოვრებელი ქირის გამოკლებით, ციურიხში შეადგენს 4260 დოლარს. ჟენევაში ეს მაჩვენებლი ცოტათი დაბალია - 4165 დოლარი, ხოლო ნიუ იორკში - 3673 დოლარს. ყველაზე იაფ ქალაქად დასახელდა კაირო, სადაც ცხოვრებისთვის საჭიროა მხოლოდ 1272 დოლარი თვეში. UBS-ის მონაცემებზე დაყრდნობით ყველა ძვირადღირებული საკვები არის ქალაქ ჟენევაში და ციურიხში. ხოლო ყველაზე იაფი კვება – კიევსა და ლაგოსში.

გულისხმიერება – ყველგან და ყველაფერში!

ამას წინათ ცნობილი პოეტის მურმან ჯგუბურიას ესეისტურ ჩანაწერებს გავეცანი. ერთმა ადგილმა მიიპყრო ჩემი განსაკუთრებული ყურადღება. ინფორმაცია პოეტ ხუტა ბერულავას ეხებოდა.

ხუტა ბერულავამ პოეტური მოღვაწეობა სოხუმში დაიწყო. მალე გაითქვა სახელი მთელი საქართველოს მასშტაბით და, როგორც იტყვიან, არ იყო ხელწამოსაკრავი პოეტი. მე აფხაზეთელი ჟურნალისტი ვარ. მამაჩემის პროფესია ავირჩიე. მამაჩემი ტარასი გელენავა ცნობილი ჟურნალისტი იყო აფხაზეთში სამამულო ომის დროიდან. ომის დროს აფხაზეთის რადიოს ქართულ გადაცემათა რედაქტორი გახლდათ. თან გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის“ განყოფილების გამგეც, თან საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორიც და სხვ. ომის შემდეგ რაიონული გაზეთის რედაქტორიც იყო. ამ ფაქტს იმიტომ ვყვები, რომ მამაჩემი კოლორიტული ფიგურა იყო სოხუმში, ახლო ურთიერთობა ჰქონდა შემოქმედებით საზოგადოებასთან — მწერლებთან, პოეტებთან, არტისტებთან. მათ შორის ხუტა ბერულავასთან. უფრო მეტიც, ბატონი ხუტა ბერულავა თურმე მეგობრობდა მამაჩემთან. მე მაშინ დაბადებულიც არ ვიყავი, მაგრამ მშობლებისგან გამიგია. მოგვიანებით თავად ბატონმა ხუტამაც დამიდასტურა მამაჩემთან მისი მეგობრობა.


ხუტა ბერულავა

რევაზ ლაღიძე

მურმან ჯგუბურიას ესეისტურ ჩანაწერებზე მოგახსენებდით. ბატონი მურმანი ერთგან წერს: ხუტა ბერულავა „არცთუ გამორჩეული პოეტი, მაგრამ გამორჩეული პიროვნება“ იყოო. მე კი პირიქით გამიგონია: ბევრი მტერი ჰყავდა, მაგრამ როგორც პოეტი არ იყო დასაწუნიო. ახლახან კიდევ ერთხელ დამწყდა გული, როცა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ (№139) ფურცლებზე გავეცანი ნუგზარ ფოფხაძის შესანიშნავ წერილს, რომელიც რევაზ ლაღიძეს ეძღვნებოდა. წერილში ბატონი ნუგზარი რევაზ ლაღიძეს „გენიოსს“ უწოდებს და კომპოზიტორის შემოქმედების ლამის მწვერვალად მიაჩნია მისი „ჰიმნი დედაენას“. „საქართველომ საჩუქრად მიიღო გენიოსის მიერ შექმნილი ჰიმნი, რომელიც ადიდებს მშობლიურ ენას,“ — წერს ბატონი ნუგზარ ფოფხაძე. დეტალურად აქვს აღწერილი ამ ჰიმნის შექმნის პერიპეტიები. დამეთანხმებით: თუ სათანადო ტექსტი, ანუ „ბაზა“, ესე იგი, ლექსი არ არსებობს, მუსიკალური ნაწარმოებიც არ დაიწერება. მუსიკალური ნაწარმოები არათუ დიდად არის დამოკიდებული ლექსზე, არამედ ფილოსოფიური ტერმინი რომ გამოვიყენოთ, მისი „ზედნაშენია“. ჰიმნი ხომ თავისთავად არის სააგიტაციო მასალა და კარგი ლექსის გარეშე რა „ჰიმნი“ გვექნება? ბატონი ნუგზარ ფოფხაძე კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ბოლოს და ბოლოს შეიქმნა სასურველი „ჰიმნი დედაენას,“ და არც ერთი სიტყვა ტექსტის, ლექსის შესახებ, რის გარეშეც ჰიმნი ვერ დაიწერებოდა. ლექსის ხარისხი განმაპირობებელიც კი შეიძლება იყოს მუსიკალური ნაწარმოების ხარისხისა.

რევაზ ლაღიძის „ჰიმნი დედაენას“ ტექსტის (ლექსის) ავტორი გახლავთ პოეტი ხუტა ბერულავა. მას რომ ამის მეტი არაფერი დაეწერა, მაინც არ უნდა ყოფილიყო ხელწამოსაკრავი პოეტი („არცთუ გამორჩეული პოეტი“ იყოო). მშვენიერი პოეტი გახლდათ, მშვენიერი მთარგმნელიც. სხვათა შორის, დიდებულად ააჟღერა ქართულ ენაზე მეგრული ფოლკლორის ნიმუშებიც. მისი ლექსები ხშირად აჟღერებულა რადიოში ცნობილი მომღერლების შესრულებით. მე თუ მკითხავთ პოეტები კომპოზიტორების თანაავტორები არიან (თუ პირიქით?)...

და ბოლოს, მთავარი: ასეთი ტენდენცია დიდი ხანია დამკვიდრებულია ჩვენს სინამდვილეში: გამოაცხადებენ კომპოზიტორის გვარს, ლექსის ავტორს არავინ ახსენებს, თითქოს არც ყოფილა. ერთ-ერთი ქართული ტელეარხი თითქმის ყოველდღე გვასმენინებს ერთგვარ სააგიტაციო მასალას: ლადო ასათიანის ლექსებს, ლექსებს გურამ საღარაძის შესრულებით და სხვ. ბოლოს დაამატებენ „ქართული კლასიკა უკვდავია“.

კადრს მიღმა ისმის ხოლმე: „თემურ მჟავია“ და ჟღერს თინათინ მღვდლიაშვილის ლექსზე აგებული მუსიკა, მაგრამ ნუთუ თინათინ მღვდლიაშვილს არანაირი წვლილი არ მიუძღვის ამ სიმღერის პოპულარიზაციაში?

დიდებულია იოსებ კეჭაღმაძის კანტანტა აგებული ირაკლი აბაშიძის ლექსების ციკლზე „პალესტინა, პალესტინა“ (კონკრეტულად — „დედაო ენავ“). ამ შემთხვევაში არ ავიწყდებათ ლექსის ავტორი.

გულისხმიერება საჭიროა ყველგან და ყველაფერში.

მზია გელენავა

საღ, რა, როდის, ვინ?

თარიღი, მოვლენა, შეფასება

1625 წლის 1 ივლისს

მარაბდასთან ქართველ-სპარსელთა დიდი ბრძოლა მოხდა. შაჰაბას პირველმა უზარმაზარი არმია შეჰყარა და თავისი სიძის ისა ხან ყორჩიბაშის სარდლობით საქართველოში გამოისტუმრა და „მოურავის“ ჯანყის მოსპობა და საქართველოს საქმეების მოწესრიგება დაავალა“.

ბრძოლის წინა დღეს სამხედრო თათბირზე უარყვეს გიორგი სააკაძის გეგმა — ეცლიათ, რომ მტერი თვითონ გადმოსულიყო შეტევაზე, რადგან დიდი სიცხის გამო ქართველებს, უფრორე ქვეითებს, გაუჭირდებოდათ დაბალ ველზე ბრძოლა, თანაც მტერს ვიწროხევიან მიდამოებში არტილერიის გამოყენება გაუძნელდებოდა. მთავარსარდლობა გიორგი სააკაძის ნაცვლად მეფე თეიმურაზ I-ს ანდეს. ესეც შეცდომა გამოდგა.

ქართველთა მთელი სარდლობა, თვით ეპისკოპოსებიც, პირადად მონაწილეობდნენ ბრძოლაში. ქართველთა გამარჯვება თითქოს გარდაუვალი იყო, რომ ყიზილბაშებს ახალი დიდი ძალები მოუვიდნენ მაშველად აზერბაიჯანის ბეგლარბეგის მეთაურობით. ქართველები დამარცხდნენ, 10 ათასი ქართველი მეომარი დაიღუპა, მათ თან გაიყოლეს 14 ათასი ყიზილბაში.

1918 წლის 1 ივლისს

ვლადიმერ ლენინმა ხელი მოაწერა სახკომსაბჭოს შეტყობინებას „ხალხის მტრად“ და კანონგარეშედ მურმანსკის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების სამხარეო საბჭოს თავმჯდომარის ალექსეი იურევის გამოცხადებას, როგორც ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტთა მხარეზე გადასულისა.

ღალატით დაწყებული და ღალატითვე დასრულებული დინასტია

VIII საუკუნის 40-იან წლებში დიდი მოვლენა მოხდა დასავლეთ საქართველოში — ეგრისი და აფხაზეთი გაერთიანდნენ. მისი მთავრები უკვე VIII საუკუნის ბოლოდან აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) სამეფოს მეფეებად იწოდებიან. პირველი მეფე ლეონ II (758-798 წ.წ.) გააფთრებით იბრძოდა ბიზანტიელთა ბატონობისგან თავის დახსნისთვის და მიიღო კიდეც ნანატრი თავისუფლება.

სამეფოს დედაქალაქი ქუთაისი გახდა, რაც „აფხაზ“ მეფეთა ეროვნული თვითშეგნების დამადასტურებელი ფაქტი იყო — დედაქალაქად ირჩია უძველესი ქართული ქალაქი, ქართული კულტურის, ქართველი მოსახლეობის ცენტრი — ეგრისის სამთავროს ცენტრი ქუთაისი (საკუთრივ აფხაზეთის საერისთავოს ცენტრი ანაკოფია იყო).

868 წელს მოულოდნელად გარდაიცვალა აფხაზთა მეფე გიორგი I. ის უძეოდ გადაეგო და, ბუნებრივია, ტახტზე პრეტენზია სრულიად სამართლიანად მისმა ძმისწულმა, მეფე დემეტრე II-ის ძემ ბაგრატმა განაცხადა, როცა მამა გარდაეცვალა, უფლისწული მცირეწლოვანი იყო და ტახტზე ბიძამისი გიორგი I ავიდა, ახლა კი, როცა უძეო გიორგი გარდაიცვალა, ბაგრატისთვის თითქოს ხელი არაფერს არ უნდა შეეშალა, მაგრამ ასე არ მოხდა. ამჯერად გზაზე ბიცოლა გადაეღობა. ჯერ კიდევ ახალგაზრდა ქვრივმა დედოფალმა არ ისურვა ძალაუფლების დათმობა და ყმაწვილ პრეტენდენტს შეთქმულება მოუწყო.

ლეონ II

ადარნასე I

დამხმარედ სვანთა ერისთავს იოანე შავლიანს უხმო. ისინი შეითქვნენ და ბაგრატს მოკვდინება დაუპირეს:

სრულიად ბუნებრივად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მათი კავშირი შემთხვევითი არ იყო, რომ დედაფალსა და სვანთა ერისთავს შორის, ასე ვთქვათ, „გულთა კავშირზე“ დაფუძნებული ურთიერთობა არსებობდა, ანუ დედოფალმა თავისი მზაკვრული გეგმა საყვარელს გაუმხილა, დახმარება სთხოვა და „შთააგდეს ბაგრატ ზღუასა“, მაგრამ განწირულს ღმერთმა უშველა, ტალღებს გადაურჩა და თავი კონსტანტინეპოლს შეაფარა. ტახტი უმეფოდ დიდხანს არ დარჩენილა. შავლიანმა არ დაახანა და ტახტზე თვითონ დაჯდა (868-880 წ. წ.).

იოანე, როგორც ჩანს, მკაცრ ცენტრალიზატორულ პოლიტიკას ატარებდა ქვეყნის შიგნით. ამ პოლიტიკის შედეგი იყო, რომ მის ვასალობაზე უარი თქვა არგვეთის ერისთავმა, ლიპარიტ I ბაღვაშმა. მან ქართლიდან ჯავახეთისკენ მიმავალ გზაზე, კლდეკარში ციხე ააგო და საერისთავო დააარსა. სხვათა შორის, მისი შთამომავალი ლიპარიტ IV გააფთრებით ებრძოდა საქართველოს გაერთიანება-გაძლიერებას XII საუკუნეში .

როგორც ჩანს, საკმაოდ დამოუკიდებელი იყო შავლიანთა საგარეო პოლიტიკაც, განსაკუთრებით ბიზანტიის მიმართ, რაც ბოლოს საბედისწეროდ შემოუბრუნდათ.

იოანემ თავისი შვილის, ტახტის მემკვიდრის ადარნასეს მდგომარეობის განსამტკიცებლად საკმაოდ ენერგიული ნაბიჯი გადადგა — ცოლად შერთო ტაო-კლარჯეთის ერთ-ერთი ძლიერი მთავრის აშოტ I ბაგრატიონის ვაჟის გუარამ მამფალის ასული. შავლიანთა მეფობის დროსაც გრძელდებოდა აფხაზთა სამეფოს ბრძოლა ქართულ სამეფო-სამთავროებს შორის ჰეგემონიისათვის.

მეფე იოანე შავლიანის სიკვდილის შემდეგ გამეფდა მისი შვილი ადარნასე I (880-887 წ.წ.). მის დროს აფხაზთა სამეფო აქტიურად ერევა ტაო-კლარჯეთის მმართველთა გუარამ მამფალსა და დავით კურაპალატს შორის ბრძოლაში, რა თქმა უნდა, სიმამრის — გუარამ მამფალის მხარეს.

მაგრამ შეთქმულების, უზურპაციის გზით მითვისებული ტახტი ირყევა. ერთ დროს ზღვაში „შთაგდებული“ აფხაზეთის ტახტის კანონიერი მემკვიდრე ბაგრატ დემეტრეს ძე, რომელმაც ერთ დროს ბიზანტიას შეაფარა თავი, თანდათან ძალებს იკრებს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც აფხაზეთის სამეფო ხაზგასმით იკავებს ანტიბიზანტიურ კურსს. ეს კურსი კი ბაგრატის შემფარებელი კონსტანტინეპოლის წინაშე ქვეშეცნეული შიშით არის ნაკარნახევი. და ამ შიშმა ხორცი შეისხა.

უფლისწული ბაგრატი ბიზანტიური ჯარის თანხლებით, ბიზანტიური გემებით ბრუნდება. მან შესაძლებლობა მოსინჯა და ადარნასე შავლიანის ცოლს სანდო კაცის საშუალებით პირობა დაუდო, თუ გამარჯვებაში დამეხმარები, ცოლად შეგირთავო, მამფალის ასულმა ხელახალი დედოფლობის შანსი ხელიდან არ გაუშვა და თანხმობა უთხრა.

ქუთაისთან ბაგრატმა თავისი ხელით მოკლა ადარნასე, და ტახტისკენ მიმავალ გზაზე უკანასკნელი წინააღმდეგობაც სძლია — ადარნასეს ქვრივი ცოლად შეირთო და 887 წელს „აფხაზეთის“ ხელმწიფედ დაჯდა. მან 6 წელი იმეფა და მთელი ამ ხნის მანძილზე ამაოდ ცდილობდა თავისი გავლენა გაევრცელებინა ტაო-კლარჯეთზე.

შავლიანთა დინასტია ქალის ღალატით დაიწყო და ქალის ღალატითვე დასრულდა.

ალეკო ასლანიშვილი



ჯემალ ინჯია

ციკლიდან – „სტროიქონებად დაშლილი ვაყლი"...

ხუტა ბერულავას გახსენება

სუფრა გვაქვს სახარაზე,
სხეულშიც ქარი ატანს,
ელდინო საღარაძე
კითხულობს „ქარიატას".

ესენი ხომ ჩვენ ავირჩიეთ

მიწყნარდა რქენა კრავთა და ქაჯთა,
გადატვირთული დღის წესრიგია.
კარგიც, ურიგოც ადგილზე დაჯდა
და მერე სიტყვა მისცეს რიგიანს.

ბილწებს მიაგეს მკაცრი პროტესტი
დეპუტატებმა, საჯიშოებმა,
რომ განიხილეს „შარვლის ტოტებში
ხვლიკის შეძრომის საშიშროება."

საჯილდაო ქვა

ასპარეზობა დასრულებულა
და მაინც დასკვნა ახლა რთულია,
გამოუტყდები თავს უნებურად,
რომ ყველაფერი დახლართულია.
დაკარგულია: საჯილდაო ქვის
გამარჯვებული, მსაჯი და ოქმი.

მეზღვაურის დაბრუნება

შემოიარა ბანგლადეში და ტასმანია,
გადაეყარა ცხრაას კახპას, ათას მანიაკს.
ისე დაბრუნდა შორეული ნაოსნობიდან,
არ გაუცვლია არცერთ ქალში დათას მანია.

თავისუფლების ხარისხი

გვმეგობრობდნენ და
გვღალატობდნენ ხალხს, ნამუსიანს,
გვმტრობდა ათასი
უპატრონო – აქ ხან ალიად
მოვლენილები
გვიმართავდნენ ბაკქანალიას.
ხანაც ისრების
გვატყდებოდა თავსხმა მუსიად.

მთიდან მოისმის
თვალდადღლეძილ ხარის ღრიალი,
გეყოთ გართობა
ხარხარით და ჩარირამათი,
მაღალ ხარისხში
აიყვანეთ ნანინანატრი
თავისუფლება
თქვენი დაბალხარისხიანი.

მიტინგი

დღეს ხალხის ზღვა ბობოქარი, აყოლილი დროის მოდას,
იყოფოდა ერთმანეთთან დატაკებულ ნაპირებად
და ჯგლეთაში მამაპაპურ ზღაპარივით მოისმოდა
რუპორიდან უპოვართა დაპურების დაპირება.

მთავარი სულ დაგვავიწყა ხმამაღალმა მიტინგებმა –
მტერ-მოყვარე რომ თავხედობს, მოკვიტინდა, მომჯობინდა.
უთვისტომო იქექება, იკბინება, იტლინკება.
„ბომჟი" ქართლის ხარჯზე ცდილობს ამოძრომას
„ბომჟობიდან".

* * *

კარგი იქნება, ვიდრე კვერნაქის
სამაროვანი გამიშლის ლოგინს,
რომ მივადევნო ესენინს ბლოკი,
მაიაკოვსკის კი – პასტერნაკი.

გადავუარო სიტყვიერ ხრამებს,
ხმა ავაყოლო ბლოკს და პასტერნაკს
(რადგან დახატა გორი კასტელმა,
იქნებ კასტელზეც დავწერო რამე).

როცა ლექსისთვის მძევლად მიგვრილი
გამომეცლება სული – საყრდენი,
მომაჩეჩებენ ჯოხს მოსაყდრენი
და გავუდგები გზას პილიგრიმი.

ჯოჯორს ვიგონებ

მძიმე ჟამია, დაბა შიმშილობს.
რა კარგად მახსოვს ის ერთი წელი,
მერვეკლასელ ბიჭს თაბაშირში რომ
მჭიდროდ ჩამისვეს მარჯვენა ხელი.

მეგობრებს ვიძენ. სხვა თამაშობით,
სხვა სახილველით ერთობიან აქ.
წვიმაში ფერდობს თუ არ გაშორდი,
ღელე წაგიღებს ფერდობიანად.

ბურთის ოსტატებს ხვდება კოჯორი,
ვხედავთ ანთაძეს, ცნობილს „თაურით".
ღოღობერიძე გვხიბლავს ქოჩორით,
პანიუკოვი კი – „კინტაურით."

აღარ მიწუხებს ხელს თაბაშირი,
ვსვამდით ბიჭები, ცოტასაც ვწევდით.
ერთ ცხენისწაბლას ხესთან ბავშვივით
ატუზულ სიყრმეს ვიგონებ სევდით.

გჯერა

მისი გზა გადის ცირკის მავთულზე,
მაგრამ საწუთრო აცლის არაქათს,
განძად იქცევა, გჯერა, ხვალ თუ ზეგ
დანატოვარი მისგან ბარაქა.

მისი მწერლობა სევდაა ბლომად,
მისი ცხოვრება – საგა საყანწე...
დგას პოეზიის ლომივით ლომა
ხარი სამყაროს გზაგასაყარზე.

ექსპრომტი მზია ნინოშვილს

ქართული სპორტის გალავანზე მდგარს
მოგცათ ნიჭი ღვთის ძალამ ასეთი:
ტანვარჯიში თქვენ გალამაზებდათ,
თქვენ საქართველოს ალამაზებდით.

რაც „კაცია-ადამიანში" არ მოხვდა

ზოგჯერ (და უფრო
დარეჯანი როა მკითხავთან)
ძმას სასაუბროდ
ძმა დავითი მოაკითხავდა.
„გეყო, ლუარსაბ,
გამოცალე ბოთლნახევარი",
„ვეუო, თუ არ სვამ,
როგორ უნდა მოხნა მხევალი".

კრიტიკოსებზე

ქველმოქმედების სენი მჭირდა, თუმცა მის წამლად
არ მიძებნია დოვლათი, რაც ჰქონდა ბარიგებს.
ვინ ტრიოლეტის, ვინ სონეტის წერა ისწავლა
იმ წიგნებიდან, უშურველად რომ დავარიგე.

ავაღორძინე ძველქართული მთიბლური რიტმი,
ჩემით შევქმენი, კვერს მიკრავდნენ ქებით ვითომდაც.
თავს გულუბრყვილოდ ვიწონებდი ახალი რითმით,
რაც სხვის ლექსებში ამოყოფდა მერე თვითონ თავს.

პოეზიაში დონ-კიხოტად, მგონი, მოვჩანდი
ზოგი უვიცი მოკალმისთვის ამ, იმ ხანაშიც.
ბევრი მენტორი ვერ შეწვდება, თუნდაც, კოჭამდის
როსტომ ჩხეიძეს და ივანე ამირხანაშვილს.

თავის ლექსი

პაატა ნაცვლიშვილს

ერთმანეთთან შეხვედრის ორთავ მონატრული ვართ,
თუნდაც მეტროს ვაგონში, თუნდაც ყავახანასთან.
უბრად გადაგვიქროლეს წლებმა და, ვახ, ანაზდად
შეგვაფეთა ურთიერთს საჭადრაკო ტურნირმა.

ვლოცავთ საქართველოსთვის სახელოვან თარიღებს,
ვხედავთ ნაცნობ ანფასებს, უცნობ ძვირფას პროფილებს.
სალამ-ქალმის მერე ჩვენს ნიაზს ვიკმაყოფილებთ,
თან ერთმანეთს ვარიგებთ (ჭკუას მუქთად ვარიგებთ).

დოღში ცხენებს თუ ასწრებ, ზღვაში კიდევ იახტებს,
ერის გენით ამაყად თავმომწონე პაატა,
ერთ მშვენიერ დღეს კაცი თავს თუ ძალას დაატანს,
შეიძლება უეცრად თავზე მაღლაც კი ახტეს.

ყინწვისს ვეწვიეთ

ლ-ს

სიცხე ბუგავს ქვეყანას, მთებში ჩაფლულ ყინწვისს კი
ჩვენ ვეწვიეთ დაღლილი სულის მოსაბრუნებლად.
აქ მოწყენას განაგებ, დარდს განაგდებ კინწისკვრით,
რათა შენში გადმოსვლა სულ იგრძნოს ამ გუნებამ.

მიწასა და ცას შორის ზღვარი თითქოს მოშლილა,
არის ელვა ბეჭდების და ზიმზიმი ტატუსი,
აქ, გეთაყვა, ყველანი მლოცველების როლში ვართ,
მარტოოდენ შენა ხარ ანგელოზის სტატუსით.

ქ. გორი

ეროვნულ ბიბლიოთეკაში ვაჟა-ფშაველას სამკითხველო გაიხსნა

საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში ვაჟა-ფშაველას სამკითხველო და ახალი სარეგისტრაციო სივრცე გაიხსნა. მათი შექმნა კომპანიამ „m² უძრავი ქონება" დააფინანსა. სამკითხველოში წარმოდგენილი იქნება ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებების უიშვიათესი, ავტორის სიცოცხლეშივე გამოცემული წიგნები და მისი ხელნაწერები, რაც დარბაზს მუზეუმის ფუნქციასაც მიანიჭებს.

მემორანდუმი ვაჟა-ფშაველას სამკითხველოს შექმნასთან დაკავშირებით კომპანიას „m² უძრავი ქონება" და საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას შორის გასული წლის 7 აპრილს გაფორმდა. მემორანდუმის ფარგლებში შეიქმნა ეროვნული ბიბლიოთეკის ახალი სარეგისტრაციო სივრცეც, სადაც ბიბლიოთეკის ვიზიტორები საშვების მიღებას კომფორტულ და სასიამოვნო გარემოში შეძლებენ.

„მოხარულები ვართ, რომ ჩვენი კომპანიის მხარდაჭერით ეროვნულ ბიბლიოთეკას კიდევ ერთი ახალი სივრცე, ვაჟა-ფშაველას სამკითხველო შეემატა, სადაც ბიბლიოთეკის ვიზიტორები მყუდრო და კომფორტულ გარემოში შეძლებენ კითხვას და წვდომა ექნებათ გენიალური ავტორის უიშვიათეს გამოცემებზე. მნიშვნელოვანია ისიც, რომ „m²-ის მხარდაჭერით ეროვნულ ბიბლიოთეკას ახალი სარეგისტრაციო სივრცე ექნება" – განაცხადა m²-ის გენერალურმა დირექტორმა ირაკლი ბურდილაძემ.

„ვაჟა-ფშაველას აზროვნებისა და გაქანების ადამიანი ჩვენ ორი-სამი თუ გვყავდა და მისი სახელის ქვეყნის უპირველეს წიგნსაცავში შესაბამისი წარმოჩენა ძალიან მახარებს. მით უფრო მნიშვნელოვანი და სიმბოლურია ამ დარბაზის დამოუკიდებლობის დარბაზ-მუზეუმის სივრცეში გაჩენა – ვაჟა თავისუფლების უმთავრესი ქომაგია. სასიამოვნოა, რომ ამ ყველაფერს განახლებული რეგისტრატურაც ემატება და ეს ყველაფერი კერძო ბიზნესის ხელშეწყობით ხდება", – აცხადებს ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი გიორგი კეკელიძე.

შოვი ღონისძიებას – „მუსიკა და პოეზია რაჭაში" უმასპინძლებს

„ARTAREA FESTIVALI" საქართველოს რეგიონებში მოგზაურობას განაგრძობს. 14 ივლისს შოვის ყოფილი პირველი სანატორიუმის ეზოში (ე.წ სტალინის სახლი) გოგი ძოძუაშვილი და რატი ამაღლობელი აუდიტორიის წინაშე ერთობლივი პროექტით – „წრე" წარდგებიან. 90-იან წლებში შექმნილი კოლაბორაცია გოგი ძოძუაშვილის ელექტრონულ მუსიკას და რატი ამაღლობელის პოეზიას აერთიანებს.

„არტარეა ფესტივალმა" სტარტი 23 ივნისს რუსთავში აიღო და 6 რეგიონში 6 სხვადასხვა ღონისძიებას მოიცავს. ფესტივალის კონცეფცია განსხვავებული ელემენტების ერთიანობის იდეას ეფუძნება, ასევე ტრადიციული ხელოვნების თანამედროვე, ექსპერიმენტული მუსიკით გადააზრებას, რაც რეგიონში მცხოვრებ მოსახლეობას და ტურისტებს შესაძლებლობას მისცემს შეეხონ ძველ და ახალ ქართულ ხელოვნებას.

მომდევნო ღონისძიება – ალექსანდრე კორძაიასა და გიორგი ცაგარელის კამერული სიმებიანი ორკესტრის ერთობლივი კონცერტი – Kordz & Zagareli-Strings, 28 ივლისს, ბორჯომის პარკში ჩატარდება. 11 აგვისტოს მესტიაში, სვანეთის მუზეუმში მიხეილ კალატოზოვის ფილმის – „ჯიმ შვანთე" მუსიკალური პრემიერა შედგება. არტარეა ფესტივალი 22 სექტემბერს თელავში დასრულდება, სადაც ექსპერიმენტული მუსიკისა და ფოლკის ინტერაქცია სახელწოდებით – „სხვა კუთხით" იქნება წარმოდგენილი. ფესტივალის ყველა ღონისძიებაზე დასწრება თავისუფალია.

◎ წინ, საქართველოვ!

მსოფლიოც ასწია

თანატოლებში მსოფლიოს და ევროპის მრავალგზის გამარჯვებულმა და პრიზიორმა, 20 წლის რევაზ დავითაძემ (85 კგ) წლეულს გაზაფხულზე უფროსებში ევროპის ჩემპიონატზე ბუქარესტში 2 ოქროს და 1 ვერცხლის მედალი მოიპოვა. მაშინ მან ატაცში 163 კილოგრამით პირველი ადგილი დაიკავა, აკვრაშიც სამივე ცდა გამოიყენა და 190 კილოთი ვერცხლის მედალი ხვდა, ორჭიდის ჯამში კი 353 კილოგრამით ოქროს მედალი დაიმსახურა.

და აი, ტაშკენტში, სადაც 20-წლამდელ ძალოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატი მიმდინარეობს, 85 კილოგრამ წონით კატეგორიაში რევაზ დავითაძემ ისევ ორი ოქრო და ერთი ვერცხლი მოიპოვა: უზბეკეთის დედაქალაქში მან პირველსავე ცდაზე 164 კილო აიტაცა და პირველობა არავის დაუთმო. ვერცხლის პრიზიორი ალი აჰმედ სეიდ აშოური (ეგვიპტე) მას ხუთი კილოგრამით ჩამორჩა.

აკვრაში 187 კილოგრამის შემდეგ დავითაძეს მეორე ცდა (192 კგ) გაუცუდდა, ამიტომ ეს წონა მესამე ცდაზე დაძლია, რამაც ქართველ ათლეტს ამ დისციპლინაში ვერცხლის, ხოლო ორჭიდის ჯამში ოქროს მედალი მოუტანა. აკვრაში ჩემპიონობა 198 კილოგრამით ამერიკელმა ჯეიმს ჰარისონ მაურუსმა მოიპოვა.

85 კგ. 1. რევაზ დავითაძე (საქართველო) — 356 (164+192), 2. ალი აჰმედ სეიდ აშოური (ეგვიპტე) — 350 (159+191), 3. ჯეიმს ჰარისონ მაურუსი (აშშ) — 349 (151+198).

ლექსო ცინცაძე

◎ მძლეოსნობა

გიორგი კეკიშვილი

არის ლიცენზია!

უნგრულ დიორში გამართულ 18-წლამდელ მძლეოსანთა ევროპის ჩემპიონატში ქართველმა უროს მტყორცნელმა გიორგი კეკიშვილმა 38 მეტოქესთან პაექრობისას 73,67 მეტრით მე-7 დაიკავა და მსოფლიოს ახალგაზრდობის მესამე ოლიმპიურ თამაშებში ასპარეზობის უფლება მოიპოვა. ამ შეჯიბრებას შემოდგომაზე ბუენოს-აირესი მიიღებს.

მიზანთან ახლოს იყო თბილისელი გიორგი კარდაშიანი - სიგრძეზე ხტომაში იგი 6,96 მეტრით მე-8 ადგილს დასჯერდა და არგენტინის თამაშების სალიცენზიო ნორმატივის შესასრულებლად 2 სანტიმეტრი დააკლდა.

* * *

წლეულს 5 აგვისტოდან ბერლინი ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. იქ გამგზავრება უკვე დაბეჭდილი აქვთ ლაშა ღულელაურს (სამმაგი ხტომა), დავით ხარაზიშვილსა (მარათონი) და გიორგი მუჯარიძეს (ბირთვი). ლიცენზიის მოსაპოვებლად 20 ივლისს ბალკანეთის ჩემპიონატზე სიგრძეზე მხტომელი ბაჩანა ხორავა, შუბის მტყორცნელი როსტომ ჭინჭარაული და ბადროს მტყორცნელი თემურ აბულაშვილი მოსინჯავენ ძალებს.

გივი გაგუა

◎ ფეხბურთი

რაცა ვართ, ესა ვართ

1 მოგება, 2 ფრე და 1 წაგება — ასეთი შედეგით ჩაებნენ ქართული კლუბები პოპულარულ ევროტურნირებში. ქუთაისის „ტორპედოსა“ (ჩემპიონთა ლიგა) და „სამტრედიის“ (ევროპა ლიგა) სასტარტო მონაგრის შესახებ უკვე ვისაუბრეთ, ამიტომ დღეს დანარჩენებზე შევჩერდეთ.

„დუნაისკა სტრედა“ — „დინამო“ 1:1

სლოვაკეთში მოპოვებული ქულა კახი კაჭარავას შეგირდებს აქტივში უნდა ჩავუთვალოთ, მით უმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ საპასუხო მატჩი 18 ივლისს თბილისში გაიმართება. სხვათა შორის, შესანიშნავი დებიუტის შემდეგ, როცა ზივზივაძემ მე-15 წუთზე პარტნიორები დააწინაურა, იმედი გაგვიჩნდა, რომ ორრაუნდიანი დუელის ბედს სტუმრები პირველივე შეხვედრაში გადაწყვეტდნენ, მაგრამ მალევე კუთხურის გათამაშებამ და ჰუსეინის ზუსტმა თაურმა წყვილს ინტრიგა შეუნარჩუნა.

„ჩიხურა“ — „ბეითარი“ 0:0

სოსო ფრუიძის გუნდი მწვრთნელის ტაქტიკური კრედოს ერთგული დარჩა და ფრთხილი თამაშით სასურველი ზავი გააფორმა.

გიორგი შოთაძე

◎ კალათბურთი

აქაც - ილია

საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის ორგანიზებით რამდენიმე თვეა გრძელდება საქართველოს 2018 წლის სტუდენტური ჩემპიონატები სპორტის რამდენიმე სახეობაში. ასპარეზობა დაამთავრეს კალათბურთელმა ვაჟებმა. უმაღლეს ლიგაში რვა გუნდი მონაწილეობდა წრიული სისტემით. რეგულარული პირველობა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა (ლუკა კალატოზიშვილი, ნიკა ყირიმელი, ვასილ კუტალაძე, დიმიტრი შალამბერიძე, გუგა პატაშური, გიორგი მაჭავარიანი, ვასილ მჭედლიშვილი, ნიკოლოზ მეცხვარიშვილი, დიმიტრი ბობილევი, გიორგი მამალაძე, ბექა გეგეშიძე, ალექსანდრე კაკუბერი, მწვრთნელი დავით ეძგვერაძე) მოიგეს, შემდეგ ნახევარფინალში კავკასიის უნივერსიტეტის გუნდს აჯობეს ორი მატჩის ჯამში და გადამწყვეტ პაექრობაში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კალათბურთელებს დაუპირისპირდნენ. პირველ შეხვედრაში სტუ-მ 86:85 დაამარცხა მეტოქე, მაგრამ მეორე პაექრობაში უპირატესობა ილიაუნელთა მხარეს იყო, რომლებმაც 68:62 გაიმარჯვეს და ჩემპიონობა მოიპოვეს.

— შარშანდელი ჩემპიონატის ნახევარფინალში სტუ-სთან წავაგეთ და მესამე ადგილს დავჯერდით, — გვითხრა ჩემპიონთა მწვრთნელმა დავით ეძგვერაძემ. - ამჯერად კი დაძაბულ გადამწყვეტ პაექრობაში ვაჯობეთ და რევანში ავიღეთ. ჩემპიონობამ ძალიან გაგვახარა. ახალგაზრდული შემადგენლობა გვყავს და ვეცდებით, მომავალში უკეთესი თამაში ვაჩვენოთ. მით უმეტეს, რომ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა, განსაკუთრებით კი სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტი დიდ დახმარებას გვიწევს.

ლაშა დიდია

◎ მოსაზრება

რატომ ხორვატია?

არა, არ გეგონოთ, ამ ნაკრების საწინააღმდეგო რამე მქონდეს, პირიქით - ალალია მასზე მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალისტობა. აი, ვისგან უნდა აიღონ მცირე ერებმა მაგალითი.

მე, უბრალოდ, ქვეყნის სახელწოდებაზე მინდა ყურადღება გავამახვილო.

21-ე საუკუნის დასაწყისში კომუნიკაციის ფორმების გაფართოებამ, საზოგადოებრივმა სოციოკულტურულმა და ენის შესახებ მეცნიერებათა შინაგანმა პროცესებმა თანამედროვე ენათმეცნიერებაში ცვლილებები გამოიწვია, ენის ფუნქციონირების ახალი მხარეები მოითხოვა. დღევანდელი მედიასივრცის ერთ-ერთ ყველაზე განვითარებად მიმართულებას წარმოადგენს მედიაკომუნიკაცია. მის წიაღში წარმოიშვა სასპორტო მედიაკომუნიკაცია, რომელიც რთული სისტემაა, უპირველესად, შემოქმედებითი სფეროების ისეთ ურთიერთკავშირზე დაფუძნებული, როგორებიცაა სპორტი და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. თანამედროვე საზოგადოებაში მიმდინარე მნიშვნელოვანი პროცესები ხელს უწყობს ენის ახალი ასპექტების გამოვლენას, ცნებითი აზროვნებისა და სპორტის ტერმინოლოგიის კორექტირებასა და განახლებას.

ქართული მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებში დიდი ხანია დამკვიდრდა ტერმინები: **სპორტული სკოლა, სპორტული კლუბი, სპორტული კომპლექსი, სპორტული კომპლექსი, სპორტული მოედანი, სპორტული ჟურნალისტი, სპორტული კომენტატორი, სპორტული ჟურნალისტიკა, სპორტული ტერმინოლოგია, სპორტული მედიცინა** და მისთანანი. ეს ტერმინები, აშკარად, რუსულის კალკებია (спортивная школа, спортивный журналист, споривный коментатор, спортивная журналистика, спортивная терминология, спортивная медицина и т. д.) მათი ამ ფორმით გამოყენება უმართებულოდ მიგვაჩნია.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში (ერთტომეული, 1986) სიტყვა **სპორტულ**-ი ახსნილია, როგორც სპორტთან დაკავშირებული, სპორტისათვის განკუთვნილი, სპორტის ხასიათისა, - სასპორტო: ს. მოედანი, ს. ინვენტარი, ს. სეზონი (გვ. 412).

ვფიქრობთ, ამ განმარტებამ უბიძგა ქართულ პრესაში **სპორტული ჟურნალისტის** მსგავსი ტერმინების დამკვიდრებას. ლექსიკონის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ამ შემთხვევაში ჟურნალისტი სპორტთანაა დაკავშირებული ან სპორტისთვისაა განკუთვნილი. გარკვეულწილად ასეცაა, მაგრამ რომელ კითხვაზე პასუხობს სიტყვა **სპორტული**? ცხადია, **როგორი**? გამოდის, რომ ეს განსაზღვრება კუთვნილებაზე კი არა, ჟურნალისტის ნიშანზე მიუთითებს. კუთვნილების გამოსახატავად კი მართებული იქნება, დავსვათ კითხვა — რისი ჟურნალისტი? **სპორტის**.

ამდენად, მიგვაჩნია, რომ უნდა ვთქვათ და ვწეროთ **სპორტის ჟურნალისტი, სპორტის კომენტატორი, სპორტის ტერმინოლოგია, სპორტის ჟურნალისტიკა, სპორტის მედიცინა, სპორტის ფილოსოფია, სპორტის ფსიქოლოგია** და სხვ.

შეცდომებს ვუშვებთ, ასევე, სპორტის სხვა ტერმინების გამოყენებისას, კერძოდ: **სპორტული სკოლა, სპორტული კომპლექსი, სპორტული მოედანი** და სხვ. ამ და მათს მსგავს სინტაგმებში, შინაარსიდან გამომდინარე, აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ მსაზღვრელად სიტყვა **სასპორტო**, რომელიც უფრო ზუსტად გამოხატავს (სპორტულისგან განსხვავებით) დანიშნულებას: **სასპორტო სკოლა,** ანუ სპორტისთვის განკუთვნილი სკოლა (საბედნიეროდ, ბოლო დროს ქართულ მედიასივრცეში მეტწილად ტერმინის ეს ფორმა გამოიყენება), **სასპორტო კომპლექსი, სასპორტო მოედანი, სასპორტო მედიაკომუნიკაცია...**

საგულისხმოა, რომ წლების წინათ ამბობდნენ და წერდნენ — **მუსიკალური სკოლა,** ახლა კი მართებულად იყენებენ ტერმინს — **სამუსიკო სკოლა**. ასევე, რუსული ენის გავლენით დავამკვიდრეთ **ისტორიულ** მეცნიერებათა დოქტორი, **ფილოლოგიურ** მეცნიერებათა დოქტორი. ამჟამად კი გვაქვს მართებული ფორმები — **ისტორიის** მეცნიერებათა დოქტორი, **ფილოლოგიის** მეცნიერებათა დოქტორი და ა.შ.

სპორტი ისეთი სფეროა, რომლის პრობლემურ არეალში შემოდის გეოგრაფიული სახელები, როგორც სადაურობის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეული. ამდენად, ტერმინთა მართლწერას აქაც უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება.

ცნობილია, რომ გეოგრაფიული ადგილმდებარეობის საწარმოებლად მრავალი სართი გამოიყენება. მათ შორის: **-ეთ** ბოლოსართი (კახ-ეთ-ი, ხევსურ-ეთ-ი, თურქ-ეთ-ი), თავსართ-ბოლოსართები: **სა-ეთ** (სა-ფრანგ-ეთ-ი, სა-ბერძნ-ეთ-ი), **სა-ე** (სა-ირმ-ე, სა-მშვილდ-ე, სა-ვან-ე, სა-მცხ-ე), **სა-ო** (სა-ქართველ-ო, სა-მეგრელ-ო, სა-ათაბაგ-ო).

იმის გარდა, რომ **-ეთ** ბოლოსართითაა მიღებული მხარეთა სახელები (აღმოსავლ-ეთ-ი, დასავლ-ეთ-ი, ჩრდილო-ეთ-ი, სამხრ-ეთ-ი, ასევე, ხმელ-ეთ-ი და სხვა), როგორც პროფესორი ლეო კვაჭაძე მართებულად მიუთითებს, **-ეთ** ბოლოსართი გეოგრაფიულ სახელებს მეტწილად ტომობრიობისა და ეროვნულობის აღმნიშვნელ სახელთაგან აწარმოებს. მაგალითად, კახ-ი -კახ-ეთ-ი, ხევსურ-ი - ხევსურ-ეთ-ი, რუს-ი-რუს-ეთ-ი, თურქ-ი-თურქ-ეთ-ი...

1968 წელს გამოცემულ ვ. თოფურიას და ივ. გიგინეიშვილის „ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ (ვფიქრობთ, უფრო მართებული იქნებოდა **ორთოგრაფიის ლექსიკონი**. რადგან არა **როგორი ლექსიკონი,** არამედ — **რის (ი) ლექსიკონი?** განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, ორთოგრაფიული ნიშნავს ორთოგრაფიის ხასიათისას. ორთოგრაფია ხომ სწორად წერაა. ეს ლექსიკონიც სწორად წერისაა და არა — სწორად წერის ხასიათისა) ევროპული ქვეყნების ერთი ნაწილის მართლწერა მოცემულია, რუსული ენის ზეგავლენით, დედნის ენაზე წარმოთქმის მიხედვით: ჩეხოსლოვაკია, ჩეხია (Czech Republic), შვეცია (Sweden), სერბია (Serbia, Srbija), სლოვაკია (Slovakia), სლოვენია (Slovenia) ხორვატია (Croatia), ხოლო რუმინ-ეთ-ი (Romania), ბულგარ-ეთ-ი (Bulgaria), რუს-ეთ-ი (Russia) და ზოგი სხვა გეოგრაფიული ტერმინი რატომღაც -ეთ სუფიქსითაა ნაწარმოები.



ქართული ენა გრამატიკული სტრუქტურით ძალიან ძლიერია და ნეოლოგიზაციის პროცესში უცხო წარმომავლობის სიტყვებს ქართული ენის გრამატიკის წესებს უქვემდებარებს, ამიტომაც მართებულად მიგვაჩნია ტომობრიობისა და ეროვნულობის აღმნიშვნელ სახელთაგან გეოგრაფიული სახელების **-ეთ** ბოლოსართით ან **სა-ეთ** თავსართ-ბოლოსართით წარმოება: სერბ-ეთ-ი (სადაც სერბი, სერბები ცხოვრობენ), ჩეხ-ეთ-ი (ჩეხი, ჩეხები), სლოვაკ-ეთ-ი (სლოვაკი, სლოვაკები), შვედ-ეთ-ი (შვედი, შვედები), სა-ფრანგ-ეთ-ი (ფრანგი, ფრანგები), სა-ბერძნ-ეთ-ი (ბერძენი, ბერძნები)...

ვ. თოფურიას და ივ. გიგინეიშვილის „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის“ (1998 წ.) მიხედვით, სწორი ფორმებია: **სერბი** (და არა სერბიელი), სერბები (გვ. 450), **სლოვაკი** (და არა სლოვაკიელი), სლოვაკები, **სლოვენი** (და არა სლოვენიელი), სლოვენები (გვ. 455), **ჩეხი** (და არა ჩეხიელი), ჩეხები (გვ. 577), **ხორვატი** (და არა ხორვატიელი), ხორვატები (გვ. 620), ამიტომ სრულიად მართებულად ვამბობთ და ვწერთ, რომ „უტევენ **ხორვატი (და** არა **ხორვატიელი)** ფეხბურთელები“, „შეხვედრა **ხორვატების (და** არა **ხორვატიელების)** უპირატესობით წარიმართა“, „მატჩი **სლოვენმა** (და არა **სლოვენიელმა)** კალათბურთელებმა მოიგეს“, „ამ პაექრობაში გასამარჯვებლად **სლოვენებს** (და არა **სლოვენიელებს)** მეტი გარჯა მართებთ“. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ, სერბეთის, ჩეხეთის, სლოვაკეთის და მისთ. მსგავსად, სწორი ფორმებია **ხორვატ-ეთ-ი** და **სლოვენ-ეთ-ი.** თუკი ტრადიციით დამკვიდრებულ დაწერილობას ვიცავთ. მაშინ, უპირველესად, „შვეცია“ და „ჩეხოსლოვაკია“ უნდა შეგვენარჩუნებინა. სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს მეტყველებასა და სამეცნიერო შრომებშიც უკვე კანტიკუნტად „ჩეხია“ და სერბია“ ფორმებიც გამოჩნდა. ამიტომ ვფიქრობთ, რომ ქართულ კონსტრუქციაში უცხოური გრამატიკული ფორმების დამკვიდრებას მეტი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ. პატივი ვცეთ ქართული ენის სიწმინდეს!

ვაჟა დანელია

◎ დღესასწაული

დადება პატიოსნისა სამოსლისა ყოვლადწმიდისა დედუფლისა ჩვენისა ღმრთისმშობელისა ვლაქერნას



15 ივლისს საქართველოს წმიდა მართლმადიდებლური ავტოკეფალური სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს დადებას ყოვლადწმიდისა დედუფლისა ჩვენისა ღვთისმშობელისა სამოსელისა (კვართისა) ვლაქერნას.

ცნობილია, რომ ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატი არის მართლმადიდებელი ეკლესიის ერთ-ერთი სიწმინდეთაგანი, რომელიც ლეონ დიდმა გადმოასვენა კონსტანტინოპოლში.

საგულისხმოა, რომ ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატის ასლი საქართველოშიც ყოფილა, რადგან ვახუშტი ბაგრატიონის „ისტორიაში“ ვკითხულობთ „გურიელმან ბრძოლად წარმოსულმან განძარცუა ხატი ვლაქერნისა ღვთისმშობელი და ჰყო სამკაულად თვისად“.

რაც შეეხება ვლაქერნიდან წამობრძანებულ ხატს (მეორე ხატს), რომელიც თან ჰქონდა ირაკლი იმპერატორს სპარსელების წინააღმდეგ ლაშქრობის დროს, ეს ხატი შემდეგ ათონის მთაზე გადაუსვენებიათ.

აღსანიშნავია ისიც, რომ ზუგდიდის ისტორიულ მუზეუმში ინახება სიწმინდეები, რომელიც სხვადასხვა ეკლესია-მონასტრებიდანაა წამოღებული.

ზუგდიდის ვლაქერნის ღვთისმშობლის სახელობის საკათედრო ტაძარში საზეიმო წირვა-ლოცვის შემდეგ მორწმუნეები ეამბორებიან მარიამ ღვთისმშობლის კვართს, ამ უდიდეს სიწმინდეს.

გიული ლიპარტია

საგზაო უსაფრთხოების მეთვალყურე

დედაქალაქის მასშტაბით ნომრის ამომცნობი 200 ჭკვიანი ვიდეოკამერა ამოქმედდა!

მიმდინარე წლის 9 ივლისიდან შინაგან საქმეთა სამინისტრომ საგზაო უსაფრთხოების მიმართულებით დაგეგმილი ღონისძიებების ფარგლებში დედაქალაქში ნომრის ამომცნობი 200 ჭკვიანი ვიდეოკამერა სრული დატვირთვით აამოქმედა. თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მოეწყო კამერების ფუნქციონირებისავის საჭირო სასერვერო ინფრასტრუქტურა და პროგრამული უზრუნველყოფა.

ამასთან, დედაქალაქში, გზაჯვარედინების შუქნიშნებზე დამონტაჟდა 16 ჭკვიანი ვიდეოკამერა, რომელებიც თითოეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე, ავტომატურ რეჟიმში, მყისიერ რეაგირებას მოახდენს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ საქართველოში რეგისტრირებული საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების ანალიზის შედეგად ე.წ. შავი წერტილების იდენტიფიცირება მოახდინა, სადაც მძღოლების მიერ ყველაზე ხშირია დადგენილი სიჩქარის ნორმის გადაჭარბების შემთხვევები. აღნიშნულ ადგილებზე სამინისტრომ სიჩქარის მზომი სექციური რადარები დაამონტაჟა.

ზაფხულის სეზონისა და ტურისტული ნაკადის ზრდასთან დაკავშირებით, ავტოსატრანსპორტო საშუალების სიჩქარის მზომი 6 წერტილოვანი რადარი ამოქმედდა აჭარის რეგიონში.

წლის ბოლომდე იგეგმება გადატვირთულ საავტომობილო გზებზე 1000-მდე ჭკვიანი ვიდეოკამერის რეგიონული მასშტაბით ამოქმედება.

ვიდეოკამერების განთავსების ადგილზე დამონტაჟებულია საგზაო გამაფრთხილებელი აბრები, რათა ფოტო-ვიდეოკონტროლის თაობაზე წინასწარ მოხდეს მძღოლების ინფორმირება.

საქართველოში არსებული საგზაო უსაფრთხოების დონის ამაღლება, ავტოსაგზაო შემთხვევების მინიმუმამდე დაყვანა და მისი პრევენცია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს და სამინისტრო ამ მიზნის მისაღწევად ინტენსიურად ახორციელებს ყველა შესაბამის ღონისძიებას.

ახალი ვიდეოკამერებისა და სექციური რადარების მდებარეობა

ახალი ჭკვიანი ვიდეოკამერების განლაგება თბილისში:

1. წერეთლის გამზირი – სტანისლავსკის ქ.-ს კვეთა (დინამოს მიმართულებით);
2. წერეთლის გამზირი – სტანისლავსკის ქ. 2 (მეტრო დიდუბის მიმართულებით);
3. წერეთლის გამზ – ვ. ბაგრატიონის ქ. (დინამოს მიმართულებით);
4. წერეთლის გამზ – ვ. ბაგრატიონი ქ. 2 (მეტრო დიდუბის მიმართულებით);
5. ი.ჭავჭავაძის გამზირი – ბერძენიშვილის ქ;
6. ლეხ კაჩინსკის ქ. – აწყურის ქ;
7. დადიანის ქ. – კოხრეიძის ქ;
8. დადიანის ქ. – ზაზიაშვილი ქ;
9. გობრონიძის ქ. – დუმბაძის ქ;
10. გობრონიძის ქ. – ნონეშვილის ქ;
11. რომელაშვილის ქ. – ისაკიანის ქ;
12. გურამიშვილის გამზირი (მეტროს მიმდებარე ტერიტორია – კინო „საქართველოს“ მიმართულებით);
13. გურამიშვილის გამზირი (მეტროს მიმდებარე ტერიტორია 2) მეტრო სარაჯიშვილის მიმართულებით;
14. მარცხენა სანაპირო – ქორწინების სახლთან;
15. თამარაშვილის ქუჩა – უნივერსიტეტის ქუჩის კვეთა;
16. ვაჟა-ფშაველას გამზირი

ახალი სიჩქარის მზომი სექციური რადარები განთავსებულია:

1. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი (ქალაქიდან გასასვლელში);.
2. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი (ქალაქში შემოსასვლელში);
3. ჯ. ბალანჩინის ქ. (გლდანის მიმართულებით);
4. ჯ.ბალანჩინის ქ. (გლდანიდან აშშ-ის საელჩოს მიმართულებით);
5. ქ.თბილისი – ქ. რუსთავის გზატკეცილი (ფონიჭალიდან გასასვლელში);
6. ქ.თბილისი – ქ.რუსთავის გზატკეცილი (ფონიჭალაში შემოსასვლელში).

ახალი წერტილოვანი რადარები განთავსებულია:

1. ბათუმი – ახალციხის საგზაო მონაკვეთი (ახალციხის მიმართულებით);
2. ბათუმი – ახალციხის საგზაო მონაკვეთი (ახალციხიდან ბათუმის მიმართლებით);
3. მახინჯაური (მახინჯაურიდან ბათუმის მიმართულებით);
4. მახინჯაური (ბათუმიდან მახინჯაურის მიმართულებით);
5. სენაკი-ფოთი-სარფის საავტომობილო მონაკვეთი;
6. ქ. ქობულეთი, აღმაშენებლის გამზირი.

სანთელი



იპოლიტე ხვიჩიას სახელობის იუმორის ეროვნული აკადემია უღრმესი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე აკადემიის საპატიო პრეზიდენტი, საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ გამომცემელი და მთავარი რედაქტორი, ჩვენი ეროვნული ღირსების ჭეშმარიტად ღირსეული ალამდარი, მგზნებარე ერისკაცი, უნიჭიერესი მწერალი, პუბლიცისტი და მრავალმხრივობით გამორჩეული საზოგადო მოღვაწე

თამაზ წივწივაძე

და მის ოჯახთან ერთად თანაუგრძნობს ქართულ მწერლობასა და სრულიად საქართველოს.

ნინო, ავთო, რეზო, ბუტა ჯორბენაძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი საზოგადო მოღვაწე, მწერალი, კრიტიკოსი, პოლიტიკური სატირის ფუძემდებელი, ლიტერატურული საქართველოს მთავარი რედაქტორი, უერთგულესი მეგობარი

თამაზ წივწივაძე

და თანაუგრძნობენ გარდაცვლილის ოჯახს.

ღრმა მწუხარებას განვიცდი სახელოვანი მწერლის, ჩემი ნათლიის, ბატონ

თამაზ წივწივაძის

გარდაცვალების გამო.

არჩილ ზარნაძე, ნიუ-ჯერსი, აშშ.

ოთარ ჭითანავა, მურთაზ ხურცილავა, ოთარ გაბელია, გია გულორდავა, ზურაბ აბშილავა, კახა კუკავა, გიური ცანავა, ლერი ჭითანავა, დათო კოდუა, კახა არდია, ოთო ჭითანავა, ირაკლი ჩიქავა, სოსო კაკულია, დათო დავითულიანი, სერგო კვარაცხელია, როლანდ მაქაცარია, ბაბუში ქარჩავა, გია ხასია, მამუკა ნარმანია, ზურაბ ქანთარია, ელდარ ფიფია ღრმა მწუხარებით იუწყებიან უახლოესი მეგობრის, უკეთილშობილესი პიროვნების

გურამ (ცაცა) შელიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახსა და ახლობლებს.

გივი სიხარულიძე, ილური ჯავჯანაშვილი, ნუგზარ იზორია, ელდარ ფხაკაძე, ქუჩი სხირტლაძე, ირაკლი მეგრელაძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან აწ გარდაცვლილი სკოლის მეგობრის ილია აგლაძის მეუღლის

ცირა გორგოძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ გარდაცვლილის ოჯახს.

თბილისში, ელიას უბანში, ახალგაზრდა მამაკაცი მოკლეს

„პირველი რადიოს“ ინფორმაციით, შემთხვევა გუშინ მოხდა. 20 წლის დაჭრილი ახალგაზრდა სასწრაფო დახმარების ბრიგადამ ქალაქის პირველ საავადმყოფოში გადაიყვანა, თუმცა ექიმებმა მისი გადარჩენა ვერ შეძლეს.

როგორც „პირველ რადიოს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე, განზრახ მკვლელობის მუხლით მიმდინარეობს, რაც 7-დან 15 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

ზესტაფონში ერთმანეთს რამდენიმე ტრაილერი შეეჯახა

ზესტაფონში ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. არსებული ინფორმაციით, ერთმანეთს რამდენიმე ტრაილერი შეეჯახა. შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა. შსს-ს ინფორმაციით, მომხდართან დაკავშირებით სსკ-ის კოდექსით გამოძიება არ დაწყებულა და მძღოლები ადმინისტრაციული წესით დაჯარიმდნენ.

მილოცვა

ქალბატონი ელენე კუჭუხიძე იუბილარია

15 ივლისი ჩვენი საყვარელი ქალბატონის — ელენეს დაბადების დღეა. უპირველეს ყოვლისა, გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს თქვენს საყვარელ დიდ ოჯახთან ერთად.

პატივისცემით
თენგიზ ქავთარაძე და ზაურ ფხალაძე.

ვაჟა აზარაშვილი 82 წლის გახდა



ცნობილი ქართველი კომპოზიტორი ვაჟა აზარაშვილი 1936 წლის 13 ივლისს ხალხური მუსიკის დიდი მოყვარულის ოჯახში დაიბადა. მუსიკალური განათლება IV სამუსიკო სასწავლებელსა (პროფ ალექსანდრე შავერზაშვილის კომპოზიციის კლასი) და თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში, კომპოზიციის კლასით (პროფ. იონა ტუსკია) მიიღო. 1964 წელს დაამთავრა კონსერვატორიის ასპირანტურა იონა ტუსკიას და შემდეგ, პროფ. ანდრია ბალანჩივაძის ხელმძღვანელობით. 1961 წლიდან ვაჟა აზარაშვილი შემოქმედებითი მოღვაწეობის პარალელურად, პედაგოგიურ საქმიანობასაც ეწევა. ამჟამად იგი სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორია. 1998-2007 წლებში საქართველოს კომპოზიტორთა კავშირს თავმჯდომარეობდა. მისი პირადი არქივი დაცულია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საარქივო ფონდში.

ჰარისონ ფორდი 76 წლისაა

ცნობილი ამერიკელი მსახიობი და პროდიუსერი ჰარისონ ფორდი 76 წლის გახდა.

ჰარისონ ფორდმა სამსახიობო კარიერა 1966 წელს დაიწყო. მსახიობი ცნობილი „ვარსკვლავურ ომებში“ შესრულებული ჰან სოლოს როლისთვის და „ინდიანა ჯონსში“ შესრულებული როლებით გახდა.

ჰარისონ ფორდს 3 ქორწინებიდან 5 შვილი ჰყავს.

აშშ-ში 100- მდე ადამიანი, სავარაუდოდ, McDONALD'S -ის სალათით მოიწამლა

ილინოისის შტატში სავარაუდოდ McDonald's-ის რესტორნების ქსელში ჩაშვებული სალათებით, დაახლოებით 100 ადამიანი მოიწამლა. იტყობინება ჯანდაცვის ადგილობრივი დეპარტამენტი.

მაისის შუა რიცხვებში შტატში ციკლოსპორინით დაავადების 90-ზე მეტი შემთხვევა დასახელდა, რომლის გამომწვევიც არის Cyclospora cayetanensis-ის პარაზიტი.

წინასწარმა გამოძიებამ აჩვენა კავშირი ინფექციასა და ქსელ McDonald's-ის სალათის მომხმარებლებს შორის. ამჟამად McDonald's-ის ხელისუფლება თანამშრომლობს შტატის სანიტარიულ სამსახურთა, ხოლო საეჭვო სალათები ამოღებულია მოხმარების ქსელიდან.

თითების „წაშლილი“ ანაბეჭდები

თითების ანაბეჭდი — დიდი ხანია, პიროვნების იდენტიფიცირების ერთ-ერთი მთავარი ნიშანია, რომელსაც პოლიცია, საბაჟო და სხვა სპეცსამსახურები იყენებენ.

პირის ვინაობის დადგენისას თითების ანაბეჭდების შედარების მეთოდი შემთხვევით არ არის შერჩეული, ვინაიდან ეს მახასიათებელი დროთა განმავლობაში ცვლილებებს ნაკლებად ექვემდებარება. თითების ბალიშებზე კანის ნახჭები დროდადრო შეიძლება ძლიერდებოდეს ან სუსტდებოდეს (კერძოდ, კანის დაავადებათა ჰორმონალური პრეპარატებით ხანგრძლივი მკურნალობის დროს).

ზოგჯერ ისეც ხდება, რომ კანის ნახჭები უქრებათ იმ ადამიანებს, რომელთა პროფესია გამუდმებით დაკავშირებულია ხელების კანის ტრავმებთან (ასეთთა რიცხვს მიეკუთვნებიან დურგლები, მზარეულები, მკერავები, მბეჭდავები). მაგრამ, ხშირად ტაქტილოსკოპიის დროს ანაბეჭდებით განსაზღვრის მეთოდი არ მუშაობს, რისი მიზეზიც მღელვარეაა. საქმე ისაა, რომ ადამიანს ხელისგულები უოფლიანდება, რაც კანის ნახჭის წაკითხვას ხელს უშლის.

თმის საღებავის საფრთხე

ზოგიერთი მეცნიერის განცხადებით, თმის საღებავის წელიწადში 2-5-ჯერ უფრო ხშირად გამოყენება კიბოს წარმოშობას პროვოცირებს. ამასთან დაკავშირებით, ძალიან ბევრ ქალბატონს აინტერესებს, როგორ უნდა მოიქცნენ ისინი, ვინც თმას წლების მანძილზე ხშირად იღებავს?

ძუძუს კიბოს სპეციალისტთა მიერ ჩატარებული გამოკვლევით დადგინდა, რომ თმის საღებავის ხშირი (წელიწადში ხუთზე მეტჯერ) გამოყენება ამ სნეულების ალბათობას 14 პროცენტით ზრდის.

საყურადღებოა, რომ აღნიშნულ გამოკვლევაში გათვალისწინებულია მხოლოდ იმ ქალბატონთა სამედიცინო მონაცემები, ვინც თმას ხშირად იღებავს. ამასთან, სხვა ფაქტორები გათვალისწინებული არ ყოფილა, კერძოდ, ონკოლოგიური დაავადებებისადმი ქალების მიდრეკილება, ანდა თმის საღებავთან ერთად სხვა, ძლიერი კანცეროგენული ეფექტის მქონე კოსმეტიკის გამოყენების გარემოება.

აღსანიშნავია ისიც, რომ თმის საღებავს 40 წელს გადაცილებულ მანდილოსანთა უმრავლესობა იყენებს, ძუძუს კიბოთი კი 100 ათასიდან 46 ავადდება.

უძილობის კიდევ ერთი ცუდი შედეგი

ადამიანები, რომლებსაც სულ ძილი აკლიათ, გარშემო მყოფებს არამომხიბლავად ეჩვენებათ, გვაფრთხილებენ ამერიკელი მეცნიერები.

სპეციალისტებმა 25-კაციანი ჯგუფი შექმნეს, რომლის წევრებს ღამის ძილის ხანგრძლივობა უნდა გაეკონტროლებინა. საჭირო იყო ასევე დაეფიქსირებინათ ორი კარგი ღამე, როცა მოხალისეს 7-9 საათი ეძინა და ორი ცუდი ღამე, როცა ძილის ხანგრძლივობა 4 საათზე მეტს არ გრძელდებოდა. ყოველი ასეთი ღამის შემდეგ მოხალისეებს ფოტოებს უღებდნენ, რომლებსაც შემდეგ სხვები მიმზიდველობის, ჯანმრთელობისა და კეთილსაიმედობის ნიშნით აფასებდნენ. ყველა კატეგორიაში დაბალი ქულები იმათ მიიღეს, ვისაც ღამე ცუდად ეძინა, თანაც, შემფასებლებმა ისიც დაამატეს, რომ გამოუძინებელ პირებთან ურთიერთობის არანაირი სურვილი არა აქვთ.

მეცნიერთა განცხადებით, ასეთი რეაქცია სრულიად ნორმალური ბიოლოგიური მექანიზმია — ადამიანები ერიდებიან გამოუძინებელ პირებთან ურთიერთობას. საქმე ისაა, რომ ამის მიზეზების შესახებ გარშემო მყოფებმა არაფერი იციან და ქვეცნობიერად ფიქრობენ, რომ ეს, შესაძლოა, რაიმე სნეულება იყოს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4401; ევრო - 2.8483;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2234;
100 რუბლი - 3.9291; თურქული ლირა - 0.5074;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4355;
1000 სომხური დრამი - 5.0730.

ამინდი 14 ივლისისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +19, დღე +33
მთიანი რაიონები - ღამე +13, დღე +29
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +17, დღე +27
მთიანი რაიონები - ღამე +15, დღე +28
თბილისი: ღამე +22, დღე +32

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 299-02-10,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge